2009 წელი, 12 – 18 მარტი

ფასი 90 თეთრი

ახალი განათლება

№9 (443) გამოდის 1998 წლიდან

11 მარტს, „დედა ენის“ ძეგლთან, იაკობ გოგებაშვილის მხარდამჭერი აქცია გაიმართა, რომლის ორგანიზატორი თბილისის 24-ე საჯარო სკოლა იყო. მონაწილეობდნენ თბილისის: 122-ე, 55-ე, 64-ე, 126-ე, 53-ე, მე-60, 92-ე საჯარო სკოლები.

– „ჩვენი მიზანია, მოვუწოდოთ საზოგადოებას, მხარი დაუჭიროს იაკობ გოგებაშვილს გადაცემა „საქართველოს დიდ ათეულში“ – განაცხადეს აქციის ორგანიზატორებმა.

ხმის მიცემა შესაძლებელია მობილური ტელეფონიდან ნომერზე 086 – 2233 (ზარი ფასიანია)
ასევე, ინტერნეტის საშუალებით ვებგვერდზე www.bestgeorgians.ge

ექვსი ბრალდება, ექვსი სიცრუე
გვერდი 7

„თანახმად იესო ქრისტეს მცნებისა“
ვიცოდეთ და მუდამ გვახსოვდეს იაკობ გოგებაშვილი
გვერდი 8

სახელობო განათლების მოსწავლეთა პირველი საქველმოქმედო ნაბიჯები
გვერდი 10

ბიზნესი და პროფესიული განათლება

ჩართულობიდან თანამშრომლობამდე

ბრიტანეთის საბჭოს ინიციატივით, 5-6 მარტს, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ ჩატარდა კონფერენცია თემაზე **„ბიზნესი და პროფესიული განათლება“**. კონფერენცია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის პროექტის „უნარები სამუშაოსთვის“ ფარგლებში განხორციელდა. ბრიტანელმა ექსპერტებმა – **სტივენ ჯონმა**, პროფესიული სწავლების პოლიტიკის ხელმძღვანელმა; **გორდონ უილსონმა**, დასაქმების სფეროში საქმიანობის მენეჯერმა, **ჯეფ პიკარდმა**, ექსპერტმა ბრიტანეთიდან – ქართველ კოლეგებს ბრიტანეთის გამოცდილება გაუზიარეს – პროფესიულ განათლებასა და ბიზნესს შორის ეფექტური თანამშრომლობის გზებსა და საშუალებებზე ისაუბრეს.

ორდღიანი კონფერენცია, დატვირთული დღის განრიგით, პირველ დღეს დამსაქმებლებს, ბიზნესმენებს მასპინძლობდა. ჩართულობიდან თანამშრომლობამდე: ბიზნესი და პროფესიული განათლება – ეს ძირითადი საკითხი ბრიტანეთის ექსპერტებმა 40-ზე მეტ პოტენციურ დამსაქმებელს – ბიზნესკომპანიების წარმომადგენლებს – დეტალურად გააცნეს ბრიტანეთში დამსაქმებელთა საქმიანობის მიმოხილვის მაგალითზე – როგორ მუშაობდნენ წარსულში და როგორ მუშაობენ დღეს ბრიტანელი დამსაქმებლები განათლების პოლიტიკის სფეროსთან, ეროვნულ და რეგიონულ დონეზე. ქართველი ბიზნესექტორის წარმომადგენლებისთვის ნათელი გახდა გამოწვევები, პოლიტიკა და სტრატეგია, თუ რატომ უნდა ითანამშრომლონ განათლების სფეროსთან, რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს დამსაქმებელს პროფესიული სწავლების კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის განვითარებაზე. ეს დისკუსია მართლაც სასარგებლო იყო პოტენციურ დამსაქმებელთათვის, რადგანაც კონფერენციაზე არაერთხელ გაესვა ხაზი, თუ რა სარგებლობა შეიძლება მოუტანოს ორივე მხარეს ამა თუ იმ სამუშაოსათვის საჭირო უნარების განვითარებამ.

ბრიტანეთში პროფესიული სასწავლებელი სამი კრიტერიუმით ფასდება: რამდენად საქმდებიან კურსდამთავრებულები; რჩებიან თუ არა ისინი იმ სამსახურში, სადაც დაასაქმეს; არის თუ არა კარიერული ზრდა იქ, სადაც დაიწყეს მუშაობა. ამ კრიტერიუმებზეა დამოკიდებული დაწესებულების ფუნქციონირების ეფექტურობაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასწავლებელი არ დაფინანსდება. ქართველ პროფესიული განათლების მესვეურებს დიდი ბრიტანეთის დასაქმების სფეროში საქმიანობის მენეჯერმა, გორდონ უილსონმა ურჩია, რომ, თუკი სწორი შერჩევა ექნებათ მიღების ეტაპზე, ეს შეაძლებლობას მისცემთ, ისე ააგონ სწავლება – ტრენინგები, რომ იმ უნარების გამომუშავება, რომლებიც საჭიროა აღნიშნული სამი კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად, თავიდანვე სწორად წარიმართება. შესაბამისად, არც სასწავლებლის ეფექტურობა დააყოვნებს.

დამსაქმებელი, ბუნებრივია, ირჩევს კარგ კადრს, კარგი კადრის მომზადება კი სასწავლებლის პრიორიტეტია. აქედან გამომდინარე, უმეტესწილად, სწორედ მასზეა დამოკიდებული დამსაქმებლის მოზიდვა, მასთან პარტნიორობის დამყარება. როგორ დავიწყოთ და გავაღრმავოთ წარმატებული ურთიერთობა დამსაქმებელთან? – სწორედ ამ საკითხით დაიწყო კონფერენციის მეორე დღე გორდონ უილსონმა ქართული პროფესიული სასწავლებლების ხელმძღვანელებთან. მან მიმოიხილა დამსაქმებელთან მუშაობის სხვადასხვა გზები ბრიტანეთში და მსგავსი პარტნიორობის დადებითი მხარეები – რა მოგება აქვს კოლეჯს, სასწავლო პროგრამას, სტუდენტებს, თანამშრომლებსა და დამსაქმებლებს; როგორ შეიძლება დაიწყოს და განვითარდეს წარმატებული პარტნიორული ურთიერთობა.

კონფერენციაზე ბრიტანელმა ექსპერტებმა ჩაატარეს დირექტორების ტრენინგი თემაზე: დამსაქმებლების ჩართვის სტრატეგია. მონაწილეები სამ ჯგუფად გაიყვნენ და თითოეულმა ჯგუფმა წარმოადგინა თავისი ხედვა ამ საკითხის ეფექტურად გადაწყვეტაში, ჯგუფებმა მოკლე პერზენტაციებით მოწვეულ ექსპერტებს, თავიანთი სასწავლებლების მაგალითზე, მოცემულ მომენტში არსებული ვითარება გააცნეს – რა დონეზე სურთ, რომ იყვნენ, რა ბარიერები არსებობს, დღესდეობით, ქართულ პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში, როგორ ესახებათ მათი გადალახვის ეფექტური გზები, სამოქმედო გეგმები და ვალდებულებები.

გვერდი 6

სიახლეები განათლებასა და მეცნიერებაში

თებერვალი, 2009

მთავარი სიახლეები

- საქართველოს 1921 წლის ოკუპაციას საგანმანათლებლო კვირეული მიეძღვნა;
- სამინისტრო მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში საქართველოს მოქალაქეების მაგისტრატურაში სწავლებას სრულად დააფინანსებს;
- ამიერიდან მოსწავლეთა სასკოლო ოლიმპიადები უფრო მასშტაბური და მრავალფეროვანი იქნება;
- 2200-ზე მეტი საჯარო სკოლა და ყველა საგანმანათლებლო რესურსცენტრი მაღალი ხარისხის ინტერნეტით იქნება უზრუნველყოფილი.

ზოგადი განათლება

საქართველოს 1921 წლის ოკუპაციას საგანმანათლებლო კვირეული მიეძღვნა

18-დან 25 თებერვლის ჩათვლით საქართველოს ყველა საჯარო და კერძო სკოლაში წითელი არმიის მიერ 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს ოკუპაციის ფაქტთან დაკავშირებით მრავალი საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიება გაიმართა: მოსწავლეთა ნახატების გამოფენები, მხატვრული შემოქმედების საღამოები, ღია გაკვეთილები, ლიტერატურული აქციები, მინი-სპექტაკლები, დისკუსიები, მასობრივი მსვლელობები და ასფალტზე ხატვა. ისტორიკოსებმა, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებმა, ისტორიის პედაგოგებმა, საზოგადო მოღვაწეებმა ღია გაკვეთილები ჩაატარეს და საჯარო ლექციები წაიკითხეს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე სტუდენტებისთვის. კვირეულის ფარგლებში დაფიქსირდა მოსწავლეების უპრეცედენტო აქტიურობა ბიბლიოთეკებში.

ორდღიანი ლიტერატურული აქციის ფარგლებში კი 50-მა მოსწავლემ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ოკუპაციის თემაზე ორიგინალური ნაწარმოებები შექმნა. ამ აქციაში მონაწილეებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნიკა გვარამიამ სერტიფიკატები და პორტატული კომპიუტერები გადასცა. ლიტერატურულ აქციაზე შექმნილი მხატვრული ნამუშევრები და აქციის ფოტო-მასალა ალმანახად გამოიცემა და სასწავლო დაწესებულებებში გავრცელდება. სამინისტრო ასევე გამოავლენს საგანმანათლებლო კვირეულში მონაწილე ყველაზე აქტიურ ოც სკოლასაც.

ამიერიდან მოსწავლეთა სასკოლო ოლიმპიადები 8 საგანსა და 5 სხვადასხვა კატეგორიას მოიცავს და ის უფრო მასშტაბური და მრავალფეროვანი იქნება

სამინისტროს ახალი ინიციატივით, სასკოლო ოლიმპიადები ყოველწლიურად ჩატარდება შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ინფორმატიკა. სასკოლო ოლიმპიადის მიზანია: ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენა, სასკოლო რეფორმის ხელშეწყობა, სასკოლო ცხოვრების სტიმულირება, მოსწავლეების, პედაგოგების, სასწავლო პროცესის წახალისება, საქართველოს ნაკრების კანდიდატთა გამოვლენა საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის. სასკოლო ოლიმპიადებში ათასობით მოსწავლე ჩაერთვება, მათგან 10 გამარჯვებული ეროვნული ნაკრების წევრი გახდება და მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადაში მიიღებს მონაწილეობას, ასევე გამოვლინდება 10 საუკეთესო სკოლა და ფულადი პრიზებით დაჯილდოვდება. სასწავლო ოლიმპიადას გამოცდების ეროვნული ცენტრი ჩაატარებს.

2200-ზე მეტი საჯარო სკოლა და ყველა საგანმანათლებლო რესურსცენტრი მაღალი ხარისხის ინტერნეტით იქნება უზრუნველყოფილი

სამინისტროს, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და "მაგთიკომს" შორის ხელშეკრულება გაფორმდა, რომელიც ითვალისწინებს ყველა საჯარო სკოლისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინტერნეტში ჩართვას 2011 წლამდე, რაც ჯამში 2 280 საგანმანათლებლო დაწესებულებას მოიცავს. ხელშეკრულებას ხელი განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნიკა გვარამიამ, "მაგთიკომის" გენერალურმა დირექტორმა დავიდ ლიმ და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორმა ირაკლი თოდუამ მოაწერეს.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია დედაქალაქის რ-ნის პედაგოგებს შეხვდა

ნიკა გვარამია ვაკე-საბურთალოს და მთაწმინდა-კრწანისის 600-მდე პედაგოგს შეხვდა. მათთან ერთად მინისტრმა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, სახელმძღვანელოების, სასწავლო პროგრამების, ხელფასების, სკოლების რეაბილიტაციისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ისაუბრა, უპასუხა პედაგოგთა შეკითხვებს, მოისმინა საჯარო სკოლების წარმომადგენელთა მოსაზრებები. ამ ტიპის შეხვედრების შედეგად სამინისტრო რეფორმის მიმდინარეობას პედაგოგებთან ერთად აფასებს და რეფორმის დანერგვის ახალ გზებს მათთან კონსულტაციის შედეგად განსაზღვრავს. შეხვედრების დროს მინისტრმა პრეზიდენტის სტიპენდიანტ ამ რაიონების 20 პედაგოგს სერთიფიკატები გადასცა.

გორის რაიონის სოფელ დიცის სკოლას რეაბილიტაცია ჩაუტარდა

სკოლის გახსნას განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია და "საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორი ირაკლი გილაური დაესწრნენ. დიცის საჯარო სკოლა რუსების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან 500 მეტრში მდებარეობს, ომის დღეებში სკოლის შენობაში განთავსებული იყო რუსული ჯარის სამეთაურო პუნქტი. ოკუპანტებმა სკოლა გაძარცვეს და დაარბიეს. 2008 წლის შიდა სარემონტო სამუშაოები "საქართველოს ბანკის" დაფინანსებით განხორციელდა. სკოლის 260 მოსწავლე ამიერიდან თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სკოლაში ისწავლის. ვიზიტის ფარგლებში მინისტრი შიდა ქართლის რეგიონის 300-მდე პედაგოგს შეხვდა და პრეზიდენტის სტიპენდიანტ 15 პედაგოგს სერტიფიკატები გადასცა.

პრეზენტაციები/კონფერენციები

სამინისტროში პროფესიული განათლების სტრატეგიის საჯარო განხილვა მოეწყო

ევროკომისიის წარმომადგენლობის მხარდაჭერით, პროფესიული განათლების ეროვნული სტრატეგიის (2009 – 2013) სემინარი მოეწყო, სადაც განხილული იქნა შემდეგი თემები: "საქართველოში პროფესიული განათლების განვითარების 2009-2013 წლების სტრატეგია", "პროფესიული განათლების სტრატეგია და ევროკომისიის სექტორული პოლიტიკის ხელშეწყობის პროგრამა", „დამსაქმებლებზე ორიენტირებული პროფესიული განათლება".

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია, საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი პერ ეკლუნდი, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე სულხან სისაური, საქართველოს პარლამენტის განათლების, კულტურისა და მეცნიერების კომიტეტის წევრი ხათუნა თაქთაქიშვილი, ქართველი და უცხოელი ექსპერტები.

უმაღლესი განათლება

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში საქართველოს მოქალაქეების მაგისტრატურაში სწავლებას სრულად დააფინანსებს

გრანტები გაიცემა იმ სტუდენტებზე, რომლებმაც სხვადასხვა სპეციალობებზე მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად სწავლის უფლება უცხო ქვეყნის მაღალრეიტინგულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოიპოვეს. რეიტინგული უნივერსიტეტების ჩამონათვალი განისაზღვრება FINANCIAL TIMES-is და FORBES-is რეიტინგების მიხედვით შემდეგ სპეციალობებზე: ბიზნესის ადმინისტრირება, სამართალი, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ხელოვნება, მედიცინა და სხვ. (რეიტინგები იხ. www.georgia.gov.ge; www.mes.gov.ge;) განათლების და მეცნიერების სამინისტრო პროგრამის ადმინისტრირებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სსიპ - განვითარების და რეფორმების ფონდის მეშვეობით. უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მაგისტრის ხარისხის მიღების მიზნით გაცემული ეხება თანხა, რომელიც დაფარავს არა მარტო სწავლის, არამედ სწავლასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს (საცხოვრებელი ბინის, მგზავრობის და სხვ). ამ პროგრამისთვის სახელმწიფო ბიუჯეტში 3 500 000 ლარია გათვალისწინებული.

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში უმაღლესი პროფესიული განათლების მიღება განახლებული პროგრამებით განხორციელდება

უმაღლესი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამჟამად 198 სტუდენტი სწავლობს შემდეგ სპეციალობაზე: მცირე ბიზნესის ადმინისტრირება; ბიზნესის ადმინისტრირება მშენებლობაში; სასტუმრო და სასტუმრო ბიზნესის ადმინისტრირება. 2008 წელს 24 სასწავლო კურსი მომზადდა, დაიბეჭდა სახელმძღვანელოები და სწავლების ახალ მეთოდოლოგიებში 34 მასწავლებელი გადამზადდა. სასწავლო პროგრამები ადგილობრივი სპეციალისტებისა და ამერიკელი ექსპერტების მონაწილეობით განახლდა. გორის უნივერსიტეტის პარტნიორები პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამების დაფინანსებასა, მომზადებასა და დანერგვაში არიან: ამერიკის განვითარების სააგენტო (USAID), ამერიკის სათემო კოლეჯების ასოციაცია (CCID), კანადის სათემო კოლეჯების ასოციაცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრი.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია ფილიპ ს. ჯესაპის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესების ეროვნული რაუნდების ფინალს დაესწრო

ფილიპ ჯესაპის სახელობის საერთაშორისო საჯარო სამართლის იმიტირებული სასამართლო პროცესები გაეროს სასამართლოს სიმულაციას წარმოადგენს. შეჯიბრი მსოფლიოს მასშტაბით ტარდება და მასში 500-ზე მეტი იურიდიული სკოლის გუნდი მონაწილეობს 120 ქვეყნიდან. საქართველოში კონკურსი უკვე მეოთხე წელია იმართება და წელს მასში 3-მა გუნდმა და 12 სტუდენტმა იმონაწილეს. ფინალში გამარჯვებული გუნდი ვაშინგტონში საერთაშორისო რაუნდში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრება. წლის შეჯიბრის თემებს შორის იყო: ჰუმანიტარული ინტერვენცია, ეთნიკური წმენდა და მისი რეგულირება საერთაშორისო სამართალში, სამართლიანი სასამართლოს უფლება და სხვ. „ჯესაპის" სახელობის ეროვნული შეჯიბრი განათლების და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
თბილისი 0102, უზნაძის ქ. 52, ტელ/ფაქსი: 438 819 ელ.ფოსტა: pr@mes.gov.ge

აირჩიეთ, სად ისწავლით

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
აცხადებს მიღებას საბაკალავრო და მედიკოსის პროგრამებზე

- **იუნესკოს გამოკვლევით, უნივერსიტეტი, დასაქმების მაჩვენებლით, პირველ ხუთეულშია დასახელებული**
- **სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგებით, უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის I ადგილზეა (საქართველოს მთავრობის სხდომის მონაცემები)**

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი გთავაზობთ:

- უახლესი ლაბორატორიული ტექნიკით აღჭურვილ უნივერსალურ სასწავლო რესურსებს – საქართველოში ერთადერთ საფანტომო ტრენაჟორულ ცენტრს, კრიმინალისტიკის ლაბორატორიას, სატელევიზიო სტუდიას, ლინგვისტიკის ცენტრს და ა. შ.
- უცხოეთის უნივერსიტეტებთან ერთობლივ პროგრამებს ორმაგი დიპლომისა და ხარისხის მინიჭებით

და კიდევ ...

უნივერსიტეტი ითვალისწინებს უპრეცედენტო სოციალურ და წამახალისებელ პაკეტებს

- გრანტის მფლობელ სტუდენტებისათვის მოპოვებული გრანტის შესაბამისი ოდენობის გადასახადის დაფარვას ფორმულით **„სახელმწიფო გრანტი + საუნივერსიტეტო გრანტი“**;
- განსაკუთრებულ ფინანსურ შეღავათებს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახის წევრებისათვის;
- სტიპენდიას სტუდენტებისათვის, სემესტრული სარეიტინგო მონაცემების მიხედვით, 50-დან 200 ლარის ოდენობით (რეიტინგის შესაბამისად);
- ფინანსურ შეღავათებს სტუდენტებისათვის სხვა ცალკეულ შემთხვევაშიც, რაც განიხილება ინდივიდუალურად, როგორც წესი, სტუდენტის სასარგებლოდ.

საბაკალავრო პროგრამები:

- სტომატოლოგია;
- ფარმაცია;
- სამართალმცოდნეობა;
- ინგლისური ენა და ლიტერატურა;
- ტელე-რადიოჟურნალისტიკა;
- ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა;
- საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე;
- ტურიზმის მენეჯმენტი;
- მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
- მენეჯმენტისა და ადმინისტრირების ამერიკული პროგრამა;
- ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის გერმანული პროგრამა.

ერთობლივი პროგრამები:

- ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის ქართულ-ბრიტანულ-უნგრული პროგრამა;
- ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის ქართულ-ამერიკული პროგრამა.

ინტეგრირებული პროგრამა:

- ტელე-რადიოჟურნალისტიკის ქართულ-ბრიტანული ინტეგრირებული პროგრამა.

მისამართი: ჯანო ბაგრატიონის 6. ტელ.: 38 44 06; 38 56 95 ფაქსი: 25 29 81. www.gruni.edu.ge

სსიპ ახალციხის ინსტიტუტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ახალციხის ინსტიტუტი დაარსდა საქართველოს მთავრობის 2007 წლის 31 ივლისის №161 დადგენილებით, რომელიც უფლებამონაცვლეა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალისა (1990წ).

ინსტიტუტი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ერთადერთი აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებელია, რომელიც ახორციელებს, საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ შესაბამისად, უმაღლეს პროფესიულ, საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებს. მომზადებულია სადოქტორო პროგრამებიც, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. შესაბამისად, ინსტიტუტს აქვს პრეტენზია უნივერსიტეტის სტატუსის მისაღებად.

სსიპ ახალციხის ინსტიტუტი, 2009-2010 სასწავლო წელს, აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას შემდეგ საბაკალავრო პროგრამებზე:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი (140 ადგილი)
ისტორია; ფილოლოგია (ქართული ენა და ლიტერატურა),
უცხოური ენები (ინგლისური ენა და ლიტერატურა, გერმანული ენა და ლიტერატურა, ფრანგული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა, თურქული ენა და ლიტერატურა, ბერძნული ენა და ლიტერატურა); ხის, ქვის, ლითონის მხატვრული დამუშავება, მოდელირება.

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი (50 ადგილი)
მათემატიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ეკოლოგია, ასტრონომია.

ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი (120 ადგილი)
ბიზნესის ადმინისტრირება, ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმე, საბუღალტრო და საგადასახადო საქმე.

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (20 ადგილი)
ჟურნალისტიკა.

იურიდიული ფაკულტეტი (60 ადგილი)
სამართალმცოდნეობა.

განათლების ფაკულტეტი (20 ადგილი)
დაწყებითი განათლება

სოფლის მეურნეობის და ვეტერინარიის ფაკულტეტი (20 ადგილი)
აგროტექნოლოგია.

სსიპ ახალციხის ინსტიტუტს საშუალება ექნება, მომავალ 2009-2010 წელს, საბაკალავრო პროგრამებზე, საერთო ჯამში, მიიღოს 430 სტუდენტი. სტუდენტთა სწავლის საფასური არ გაიზრდება და წინა წლის იდენტური იქნება – 1500 ლარი.

საბაკალავრო პროგრამების ხანგრძლივობა 4 სასწავლო წელია, მოცულობა – 240 კრედიტი. I კურსის შემდეგ სტუდენტებს შეეძლებათ მობილობა საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის მიერ გამოცხადებულ ვაკანსიებზე. ასევე, შეეძლებათ გაიარონ პროფესიული, სასწავლო და პედაგოგიური პრაქტიკა შესაბამის სპეციალობებში.

2009-2010 სასწავლო წელს გამოცხადდება მიღება სამაგისტრო პროგრამებზე შემდეგ სპეციალობებზე:

1. **აგრობიზნესის მენეჯმენტი;**
2. **აღრიცხვა, კონტროლი და აუდიტის მენეჯმენტი;**
3. **ქართული ენათმეცნიერება;**
4. **ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში;**
5. **ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების მეთოდიკა;**
6. **საქართველოს ისტორია;**
7. **ეთნოლოგია;**
8. **ასტრონომია;**
9. **ინფორმაციული ტექნოლოგიები;**
10. **დარგის სწავლების მეთოდიკა და მეთოდოლოგია;**
11. **სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი;**

სამაგისტრო პროგრამების ხანგრძლივობა განსაზღვრულია 2 სასწავლო წლით, მოცულობა – 120 კრედიტით, სწავლის წლიური საფასური – 2000 ლარით.

ინსტიტუტი თავის საქმიანობას წარმართავს სასწავლო-სამეცნიერო მიმართულებით.

ინსტიტუტს აქვს: ძლიერი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; კეთილმოწყობილი კაბინეტები; თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამეცნიერო ბიბლიოთეკა; სასწავლო-საცდელი მეურნეობა; კომპიუტერული ლაბორატორია და სასწავლო ცენტრი; ღია და დახურული სპორტული მოედნები; ხმის ჩამწერი სტუდია; ვოკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლები.

ინსტიტუტში ფუნქციონირებს საქართველოს ბიზნესის განვითარების ცენტრი კავკასია – ახალციხის ოფისი, რომელიც ინტენსიურად ატარებს ტრენინგებს სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის და ეხმარება მათ ბიზნესგეგმების შემუშავებაში.

წარმატებულ სტუდენტებს დაენიშნებათ მაღალი სტიპენდია და საშუალება ექნებათ, მონაწილეობა მიიღონ უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების გაცვლით პროგრამებში.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ მისამართზე:

საქართველო, ქ. ახალციხე, რუსთაველის №106

საკონტაქტო ტელეფონები: + 995 (77) 71 15 82, +995 (265) 2 19 90. **ვებგვერდი**: www.akhaltsikhe.edu.ge. **E-mail**: tinikogel@rambler.ru; natia.magradze@yahoo.com

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გვესაუბრება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი ჯონი აფაქიძე

– ბატონო ჯონი, ბოლო პერიოდში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა მისი წინსვლისა და შემდგომი განვითარების თვალსაზრისით. ერთ-ერთ დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს თბილისში, ჯიქიას №12-ში განთავსებული შენობის უზუფრუქტის წესით გადმოცემის საკითხის დადებითად გადაწყვეტა. რას გვეუბნებოდით ამ მოვლენის მნიშვნელობაზე?

– უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მართლაც დიდი სამუშაოები ჩატარდა უნივერსიტეტში პირობების გაუმჯობესების მხრივ. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ ჯიქიას ქუჩა № 12-ში განთავსებული რვასართულიანი სასწავლო კორპუსისა და მიწის ნაკვეთის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის გადმოცემა. ამ საქმის დადებითად გადაწყვეტაში, რა თქმა უნდა, დიდი წვლილი მიუძღვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაც, რომელსაც სოხუმის უნივერსიტეტის პრობლემები ყოველთვის გულთან ახლოს მიაქვს და ეძებს გზებს მათი გადაწყვეტისათვის. აღნიშნული სასწავლო კურპუსის გადმოცემამ სოხუმის უნივერსიტეტს სამომავლო განვითარებისათვის ძალზე კარგი შესაძლებლობა შეუქმნა. თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ცოტა უფრო ადრე ჯიქიას ქუჩა № 9-ში მდებარე სასწავლო კორპუსი უნივერსიტეტის კერძო საკუთრება გახდა, შეგიძლიათ თვითონ განსაჯოთ, თუ რამდენად დიდი სამუშაოებია ჩატარებული უნივერსიტეტის ღირსეული და საჭირო განვითარებისათვის. ახლა გეგმაზომიერად ვმუშაობთ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის შემდგომ დახვეწასა და განვითარებაზე, ანუ ისეთი გარემოს შექმნაზე, როცა სოხუმის უნივერსიტეტი ერთ-ერთი ყველაზე კეთილმოწყობილი უნივერსიტეტი გახდება ჩვენს ქვეყანაში. თუმცა სადღეისოდაც ამ მიმართულებით უკვე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით და ჩავატარეთ ზოგიერთი გადაუდებელი სამუშაო. თუ შეიძლება ასე ითქვას, უნივერსიტეტი ნელ-ნელა აფართოებს სააუდიტორიო ფართს და აუმჯობესებს სწავლის პირობებს. შარშან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამართულ კონკურსში მოპოვებული გრანტის წყალობით, შესაძლებელი გახდა ჯიქიას 9-ში მდებარე სასწავლო კორპუსის სახურავის გარემონტება და მე-7 სართულზე ასევე მნიშვნელოვანი სამუშაოების ჩატარებაც. კომპანია „მადნეულის“ დახმარებით უნივერსიტეტში გავხსენინთ საპრეზენტაციო ოთახი და სხვ.

– 2008 წლის 10 დეკემბერს, საქართველოს მთავრობის № 239 დადგენილებით, უნივერსიტეტის სახელწოდებას სიტყვა „სახელმწიფო“ ჩაემატება და ახლა ის ასე ჟღერს: „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი“. რა დატვირთვის მატარებელია ახალი სახელწოდება და რა გავლენას იქონიებს იგი სამომავლოდ უნივერსიტეტის ცხოვრებისათვის?

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი და სასიხარულო მოვლენაა. უნივერსიტეტის დასახელებაში სიტყვის „სახელმწიფო“ დამატება თვალნათლივ მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენი სახელმწიფო ზრუნავს სოხუმის უნივერსიტეტზე და შეძლებისდაგვარად მის განვითარებას და წარმატებებს ხელს უწყობს. ეს ჩვენ ხშირად გვიგრძვნია და ამას დიდად ვაფასებთ! ეს გვაძლევს დამატებით იმპულსებსა და ენერგიას, რათა თავდადებითა და მთელი ძალით ვემსახუროთ საუნივერსიტეტო საქმეს. უნივერსიტეტის სამომავლო ცხოვრებისათვის ეს სახელწოდება უკვე თამაშობს დადებით როლს და მას მომავალში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე უცხოეთშიც. მე მქონდა შესაძლებლობა პოლონეთში, კოპერნიკის უნივერსიტეტში, ევროპის მეცნიერთა საერთაშორისო ფორუმზე სიტყვით გამოვსულიყავი, როგორც სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი; ასეთივე შესაძლებლობა მომეცა 2009 წლის 22 იანვარს ბერლინში, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ ჰუმბოლდტელთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელშიც ცნობილი გერმანელი პოლიტიკოსები და სამეცნიერო ფონდების პრეზიდენტები მონაწილეობდნენ; ამ კონფერენციის პლენარულ სხდომაზე გერმანიის სახელმწიფო მდივნის, პეტერ ამონისა და ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის პრეზიდენტის, პროფ. დიტერ ლენცის შემდეგ, გამოვსულიყავი არა მხოლოდ როგორც ჰუმბოლდტის სტიპენდიატი, არამედ როგორც სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი და, სამეცნიერო პრობლემატიკის გარდა, მესაუბრა სოხუმის უნივერსიტეტის შესახებაც.

– ახლახან გამოცხადდა აბიტურიენტთა რეგისტრაცია მომავალი ეროვნული გამოცდებისათვის. შარშანდელთან შედარებით, წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ ბევრად გაზრდილია სოხუმის უნივერსიტეტში ჩასარიცხ აბიტურიენტთა კვოტა და იგი შარშანდელს სამჯერ აღემატება (ბაკალავრიატი – 785, მაგისტრატურა – 200, დოქტორანტურა – 50); სულ უფრო მატულობს სოხუმის უნივერსიტეტში ჩარიცხვის თუ მობილობის წესით გადმომსვლელთა რიცხვიც. როგორ ფიქრობთ, რა განაპირობებს ასეთ დაინტერესებას აბიტურიენტებისა და სტუდენტების მხრიდან?

– სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მართლაც, მატულობს ჩარიცხვის მსურველთა რიცხვი. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: რადგანაც ჩვენ სახელმწიფო უნივერსიტეტი ვართ, ჩვენთან სწავლის საფასური ბაკალავრიატში მკვეთრად განსაზღვრულია. გარდა ამისა, ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ, რომ სწავლის საფასური მაგისტრატურასა და დოქტორანტურაშიც არ იყოს ისეთი მაღალი, რომ მსურველებს გაუჭირდეთ მათი გადახდა. ყველა სადოქტორო პროგრამაზე შემოვიღეთ თითო უფასო ადგილი. პრეტენდენტი, რომელიც საუკეთესო შედეგებს აჩვენებს, განთავისუფლდება სწავლის საფასურისაგან. ეს გადაწყვეტილება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ავტონომიურად მიიღო და მისი დადებითი შედეგები უკვე სახეზეა. ყოველგვარი ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვით, რომ სოხუმის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი აკადემიურობით და ესეცაა მიზეზი იმისა, რომ ჩვენს უნივერსიტეტს სასწავლებლად აბიტურიენტები ყოყმანის გარეშე ირჩევენ. ჩვენ ვარსებობთ სტუდენტებისათვის, ყველა სტუდენტი გრძნობს ამას და, ბუნებრივია, რომ ეს ინფორმაცია ფართოდ ვრცელდება საზოგადოებაში. გვახარებს, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი სულ უფრო და უფრო ფართოდ ცნობადი და დაფასებული ხდება. სწავლა აქ პრესტიჟული და საინტერესოა.

– ბატონო ჯონი, სოხუმის უნივერსიტეტში უკვე გაიმართა ასისტენტ-პროფესორების, სტუდენტური თვითმმართველობისა და აკადემიური საბჭოს არჩევნები. როგორც მონაწილეთა, ისე დამკვირვებელთა შეფასებით არჩევნები წარიმართა ობიექტურად და მშვიდ ვითარებაში, რაც უდავოდ მისასალმებელია. თქვენ როგორ შეფასებას მისცემდით ამ არჩევნებს? როგორ ხედავთ აკადემიური საბჭოს სამომავლო მუშაობას, რომელმაც უნივერსიტეტის განვითარებისათვის აუცილებელი პრიორიტეტები უნდა განსაზღვროს, რაც თავისთავად ბოლონიის პროცესის მოთხოვნათა განხორციელებასა და ევროპული საგანმანათლებლო დონისაკენ სწრაფვას გულისხმობს.

– უკანასკნელი თვეების მანძილზე სოხუმის უნივერსიტეტში გაიმართა ასისტენტ-პროფესორების, სტუდენტური თვითმმართველობისა და აკადემიური საბჭოს არჩევნები. უნივერსიტეტისათვის ეს ძალზე მნიშვნელოვანი არჩევნები უაღრესად მშვიდ და დემოკრატიულ ატმოსფეროში ჩატარდა. რაც მთავარია, არ დარღვეულა სამართლიანობის პრინციპები! ამ არჩევნების შემდეგ პრაქტიკულად საჩივრები არ შემოსულა, რაც ძალიან გვახარებს და სიამაყით გვავსებს! დავრწმუნდით, რომ არჩევნების დროს ყველაზე მძლავრი იარაღი არის დემოკრატიული პრინციპების დაცვა. ასე რომ, ამ მხრივაც სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი სწორ გზაზე დგას და მომავალშიც ვაპირებთ ამ პრინციპების დაცვასა და განხორციელებას. სტუდენტურ თვითმმართველობას უაღრესად მნიშვნელოვანი როლი აკისრია უნივერსიტეტის ცხოვრებაში! როგორც რექტორის მოვალეობის შემსრულებელი და როგორც საქართველოს მოქალაქე, უაღრესად ბედნიერი ვიყავი, როცა ვხედავდი, თუ რა დიდი მონდომებითა და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით მონაწილეობდნენ და მოდიოდნენ არჩევნებზე ჩვენი ძვირფასი სტუდენტები.

ახლა სიამოვნებით ვუპასუხებ თქვენი შეკითხვის იმ ნაწილს, რომელიც სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიზნებსა და ამოცანებს ეხება. პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, რომ სოხუმის უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში არჩევნების გზით მოხვდნენ მაღალკვალიფიციური, განათლებული და ჩვენი ქვეყნის ინტერესების დამცველი პროფესორები. დარწმუნებული ვარ, რომ აკადემიური საბჭოს წევრები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ სოხუმის უნივერსიტეტის განვითარება არათუ არ შეფერხდეს, არამედ უნივერსიტეტმა ახალ წარმატებებს მიაღწიოს როგორც სასწავლო პროცესის შემდგომი სრულყოფისა და საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი განახლების თვალსაზრისით, ისე სამეცნიერო საქმიანობის სფეროში. ჩვენი აკადემიური საბჭოს წევრები სოხუმის უნივერსიტეტის ცხოვრებით ცხოვრობენ და ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ მისი წინსვლისათვის.

– კონკრეტულად რა გაკეთდა დღემდე ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებისათვის?

– ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოების თვალსაზრისით, სოხუმის უნივერსიტეტში, ბოლო დროს, ბევრი ღონისძიება გატარდა. პირველ რიგში მინდა აღვნიშნო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ამ მიმართულებით ჩატარებული სამუშაოები. ბოლონიის პროცესთან დაკავშირებულ ფორუმებში ჩვენი უნივერსიტეტი მონაწილეობს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ უცხოეთში გამართულ ფორუმებშიც; გავაფორმეთ მემორანდუმები სხვადასხვა უნივერსიტეტებთან; დიდი ყურადღება ექცევა იმ უმთავრესი ცნობილი პრინციპების დაცვას, რომლის გარეშეც შეუძლებელია რეფორმებზე საუბარი. სოხუმის უნივერსიტეტი აქტიურადაა ჩართული ბოლონიის პროცესთან დაკავშირებულ პროცესებში და დიდ ძალისხმევას ახმარს მათ შესრულებას. მომავალში, ამ მხრივ, კიდევ უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმაა დაგეგმილი. დიდი ყურადღება ეთმობა სასწავლო პროგრამების დახვეწას, მათ მოდერნიზებას თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, კურიკულუმების ჰარმონიზებას, მობილობის ხელშეწყობას, ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან სასწავლო პროგრამების დაახლოებას.

– რომელ უნივერსიტეტებთან დადებული მემორანდუმები გინდათ ცალკე გამოყოთ და რა სახის თანამშრომლობას ითვალისწინებს ეს მემორანდუმები?

– მე აქ დავასახელებ იმ მემორანდუმებს, რომლებიც რეალურად მუშაობენ. ეს ეხება, უწინარეს ყოვლისა, მემორანდუმებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან. ამ უნივერსიტეტებთან ერთად, სასწავლო პროცესთან თუ უნივერსიტეტების კულტურულ ცხოვრებასთან დაკავშირებით, უკვე მრავალი ღონისძიება ჩავატარეთ. სოხუმის უნივერსიტეტის ორ წარჩინებულ სტუდენტს მიეცა შესაძლებლობა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ერთი სემესტრი უფასოდ ისწავლოს. გარდა ამისა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა სოხუმის უნივერსიტეტს გაურემონტა და სათანადო აპარატურით აღუჭურვა „მეგობრობის ენათა ცენტრი“, სადაც ორივე უნივერსიტეტის პროფესორები სტუდენტებს უფასოდ ასწავლიან ინგლისურ და თურქულ ენებს. აკადემიური პერსონალისთვისაც კი ტარდება სპეციალური მეცადინეობები. საერთაშორისო პროექტებიდან მინდა აღვნიშნო საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან ერთად საბერძნეთის პირეუსის უნივერსიტეტთან გაფორმებული თანამშრომლობის

აირჩიეთ, სად ისწავლით

მემორანდუმი. ამ მიმართულებით ამჟამად ბუქარესტისა და ვარშავის უნივერსიტეტებთანაც მიმდინარეობს მუშაობა. გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტთან დასრულების ფაზაშია თანამშრომლობის ხელშეკრულებაც. განსაკუთრებით დიდი ყურადღება გვინდა დავუთმოთ უცხოეთის უნივერსიტეტებთან სტუდენტებისა და პროფესორების გაცვლით პროგრამებს როგორც მოკლე, ისე გრძელვადიანი მივლინებებით.

– ბატონო ჯონი, სოხუმის უნივერსიტეტში ყოველთვის დიდი ყურადღება ეთმობოდა მაგისტრატურას. რა სპეციალობებში შეძლებენ სწავლის გაგრძელებას მომავალი მაგისტრები და რა სიახლეებია სასწავლო პროგრამებთან მიმართებაში?

– საბედნიეროდ, მაგისტრატურაში ჩვენთან სხადასხვა სპეციალობები კარგადაა წარმოდგენილი. ეს ეხება როგორც ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ, ისე საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებებსაც. განსაკუთრებით დიდია მოთხოვნილება სამართალმცოდნეობის, ეკონომიკისა და ბიზნესისა, ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობებზე. წელს, როგორც ცნობილია, სახელმწიფოს მიერ ბაკალავრიატის კვალდაკვალ შემოდის მაგისტრანტების დაფინანსებაც. ყველაზე მეტ დაფინანსებას ამ მხრივ მიიღებენ ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო და განათლების სპეციალობის მაგისტრები. ვფიქრობთ, რომ ეს ხელს შეუწყობს მაგისტრთა კონტინგენტის გაზრდას ხსენებულ მიმართულებებზეც. სიახლე იქნება ისიც, რომ იმ სპეციალობებზე, სადაც მაგისტრებისათვის აუცილებელია სათანადო პრაქტიკის გავლა, ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ პასუხისმგებლობის აღებას და მის უზრუნველყოფას.

– წელს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 50 ადგილია გამოყოფილი დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველთათვის. რა სპეციალობებზე შეიძლება სწავლა სოხუმის უნივერსიტეტის დოქტორანტურაში და რა არის ამისთვის საჭირო?

– ამჟამად ჩვენთან ფუნქციონირებს სამი სადოქტორო პროგრამა: „საქართველოს ისტორია“, „არქეოლოგია“ და „ლიტერატურის თეორია“. უახლოეს ხანებში მათ დაემატება კიდევ ცხრა სამაგისტრო პროგრამა, ძირითადად, ზუსტი და ეკონომიკისა და ბიზნესის სპეციალობებით. დაგეგმილია ასევე „ინგლისური ენისა და ლიტერატურის“ და „სამართალმცოდნეობის“ სპეციალობებშიც დოქტორანტურის გახსნა. დოქტორანტურაში სწავლის მსურველს აუცილებლად დამთავრებული უნდა ჰქონდეს მაგისტრატურა და მას მოუწევს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი მისაღები გამოცდების ჩაბარება.

– გასული წლის სექტემბერში სოხუმის უნივერსიტეტში გაიხსნა რამდენიმე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. კერძოდ, რომელ ინსტიტუტებზეა საუბარი და როგორ განსაზღვრავდით მათი მუშაობის პრიორიტეტებს?

– გასული წლის სექტემბერში სოხუმის უნივერსიტეტში გავხსენით „ქართული ენისა და კულტურისა“ და „აფხაზური ენისა და კულტურის“, ცოტა ადრე კი – „ისტორიისა და ეთნოლოგიის“, „არქეოლოგიისა“ და „გამოყენებითი მათემატიკის“ ინსტიტუტები. ზოგადად, მათი მიზანია საწავლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევა-ძიების სრულყოფა, ნიჭიერი და შრომისმოყვარე ახალგაზრდების გამოვლენა და ხელშეწყობა და სხვ. სულ ახლახან, მაგალითად, „ქართული ენისა და კულტურის“ და „აფხაზური ენისა და კულტურის“ ინსტიტუტებმა ერთობლივად ჩაატარეს ცნობილი ქართველოლოგისა და აფხაზოლოგის, პროფესორ ქეთევან ლომთათიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო რესპუბლიკური კონფერენცია, რომელშიც საქართველოს ცხრა უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. აღნიშნული კონფერენცია ჯეროვნად გაშუქდა მასმედიის საშუალებითაც. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო, რომ აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის კარგი მუშაობის შედეგად არაერთმა ქართველმა ახალგაზრდამ მთავარ საგნად აფხაზური ენა და კულტურა აირჩია. ეს დიდი მნიშვნელობის ფაქტია და ხაზს უსვამს იმას, რომ ქართველ სტუდენტებს სურთ და შეუძლიათ თავიანთ აფხაზ თანატოლებთან სწავლა, მუშაობა და თანაცხოვრება. ეს ასევე უდავოდ მიუთითებს ჩვენი სტუდენტების მაღალ სულიერებაზეც! სოხუმის უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტი, ზაფხულში გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტთან ერთად, იწყებს ერთობლივ გათხრით სამუშაოებს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ხობის რაიონში. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ცდილობს, შესაძლებლობის ფარგლებში, სათანადო პირობები შეუქმნას ამ ინსტიტუტებს და მათში მოღვაწე პროფესორებსა და სტუდენტებს.

– რა სახის სამეცნიერო კრებულები და ჟურნალები გამოიცემა სოხუმის უნივერსიტეტში და თუ არის ეს გამოცემები რეფერირებადი?

– სოხუმის უნივერსიტეტის შექმნისთანავე დაარსდა კრებული „სოხუმის უნივერსიტეტის შრომები“. რა თქმა უნდა, ეს რეფერირებადი კრებულია. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს კრებული სერიებად გამოდის. უკვე გამოქვეყნდა ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია, 2009 მარტის ბოლომდე გამოქვეყნდება – საბუნებისმეტყველო, ხოლო აპრილში – ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია; მომზადების პროცესშია მათემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებათა სერიაც. სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორების გარკვეული ნაწილი თავიანთ ნაშრომებს აქვეყნებს ასევე საზღვარგარეთის ცნობილ სამეცნიერო გამოცემებშიც. არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნო, რომ ჩვენთან გამოდის ყოველთვიური გაზეთი „სოხუმის უნივერსიტეტი“. ვგეგმავთ უნივერსიტეტის საგამომცემლო საქმიანობის შემდგომ სრულყოფასა და განვითარებას. ვფიქრობ, რომ სათანადო დაფინანსების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელი გახდება ჩვენი აკადემიური პერსონალის სტუდენტებისათვის საჭირო სასწავლო სახელმძღვანელოების გამოცემაც.

– რას გვეტყვით უნივერსიტეტის სტუდენტური ცხოვრების შესახებ ?

– სოხუმის უნივერსიტეტს კარგი და ღირსეული სტუდენტები ჰყავს. მათთან ერთად ვცდილობთ, რომ სტუდენტური ცხოვრება საინტერესო და ხალისიანი იყოს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მოცეკვავეთა და მომღერალთა გუნდები, რომელთაც გამოცდილი ქორეოგრაფები და მომღერლები უდგანან სათავეში. სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული სპორტულ ღონისძიებებსა და ინტელექტუალურ თამაშებში. მათ არაერთხელ გაიმარჯვეს როგორც რესპუბლიკურ, ისე საერთაშორისო ტურნირებში და მონაწილეთა შორის საპატიო ადგილები დაიკავეს. უნივერსიტეტს ეწვია არაერთი ხელოვანი, საზოგადო მოღვაწე თუ პოლიტიკოსი. სტუდენტებისათვის ეს შეხვედრები ძალზე შთამბეჭდავია. ისინი მადლიერებით იხსენებენ შეხვედრას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩთან, ქალბატონ დოქტ. პატრიცია ფლორთან, ცნობილ პოლიტოლოგ ალექსანდრე რონდელთან, „სეფას ბიჭებთან“ და სხვა მრავალ ცნობილ მეცნიერთან თუ ხელოვანთან. სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტური ცხოვრებიდან აქ კიდევ სხვა მრავალი ღონისძიების დასახელება შეიძლება, მაგრამ ამჯერად ამით შემოვიფარგლოთ. ვიტყვი მხოლოდ, რომ სტუდენტები საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობენ და მომავალში ის კიდევ უფრო მრავალფეროვანი და მიმზიდველი გახდება.

– რას უსურვებდით მომავალ სტუდენტებს?

– ძვირფასო აბიტურიენტებო, გისურვებთ დიდ წარმატებებს ეროვნული გამოცდების ჩაბარების დროს. განაცხადში აუცილებლად შეიტანეთ „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, რადგანაც თქვენ აქ ხარისხიანი სწავლა-განათლება და საინტერესო სტუდენტური ცხოვრება გელოდებათ; აქ თქვენ გელოდებიან გულისხმიერი და მაღალკვალიფიციური პროფესორები.

ესაუბრა ***თამთა ქუფრაშვილი***

GBT International

ჯი.ბი.თი. საერთაშორისო სამედიცინო კოლეჯი

2009 წელს, ჯი.ბი.თი.-ს საერთაშორისო სამედიცინო კოლეჯში, აბიტურიენტთა მიღება შესაძლებელია საექთნო ფაკულტეტზე 3-წლიან პროგრამაზე, სადაც თქვენ შეძლებთ მიიღოთ მაღალი დონის განათლება, დაეუფლოთ საექთნო საქმეს და შეიძინოთ პროფესია.

ჩვენს კოლეჯში სასწავლო პროცესს გადიან როგორც ქართველი ასევე უცხოელი სტუდენტები. კოლეჯს აქვს ინგლისურენოვანი აკადემიური პროგრამა, აღჭურვილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ბიბლიოთეკით, კომპიუტერული ლაბორატორიით.

კოლეჯის აკადემიური პროგრამა მთლიანად ორიენტირებულია სტუდენტთა მაღალკვალიფიციურ მომზადებაზე, რაზეც მაღალკვალიფიციური პედაგოგები ზრუნავენ. კოლეჯს აქვს ასევე საერთაშორისო დონის ლაბორატორია, სადაც შესაძლებლობა გაქვთ, აიმაღლოთ ცოდნა და შეიძინოთ გამოცდილება.

ჯი.ბი.თი.-ს საერთაშორისო სამედიცინო კოლეჯი წარჩინებულ კურსდამთავრებულებს სთავაზობს დასაქმებას გერმანიაში.

მისამართი: ლვოვის ქ. 82[გ]
ტელ: 38 05 95; 30 86 61
ელ-ფოსტა: office@gbt-edu.ge

TSC შპს „ტექსერვისცენტრი“

კომპიუტერული, საოფისე და საყოფაცხოვრებო ტექნიკის სერვისი

სასწავლო დაწესებულებებისთვის ფასდაკლება 20%, ადგილზე მომსახურება, უფასო დიაგნოსტიკა

- კარტრიჯების აღდგენა.
- პრინტერების შეკეთება.
- კოპიერების შეკეთება.
- ქსელის მონტაჟი.
- კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა.
- ნოუთბუქების შეკეთება.
- ვებ დიზაინი.
- ტელეფონების (რადიო ტელეფონი, მობილური, ფაქსი) შეკეთება.
- სისტემური ტელეფონის მონტაჟი-პროგრამირება-შეკეთება.
- უწყვეტი კვების ბლოკების და ადაპტერების შეკეთება.
- მონიტორების შეკეთება.
- ტელევიზორის შეკეთება.
- ტელევიზორის ქსელის მონტაჟი.
- მუსიკალური ცენტრების შეკეთება.
- სარეცხი მანქანის შეკეთება.
- გაზის და ელექტროქურების შეკეთება.
- მაცივრების შეკეთება.
- კონდინციონერების შეკეთება.
- სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეკეთება.
- დამაფონის მონტაჟი-შეკეთება.
- დაცვითი და სისტემების პროექტირება-მონტაჟი-შეკეთება.
- სანტექნიკის მონტაჟი-შეკეთება.
- გათბობის სისტემის მონტაჟი შეკეთება.
- დაბალი დენების ქსელის დაპროექტება-მონტაჟი.
- საწარმოს ხაზის მონტაჟი.
- სხვადასხვა ფორმატის კასეტების ინფორმაციის ჩაწერა-გადაწერა.

ალ. ყაზბეგის გამზ. №1. ტელ: 371-471, 37-41-14
ელ-ფოსტა: tsc@caucasus.net servise@tsc.ge
www.tsc.ge
შპს „ტექსერვისცენტრი“ TSC

ბიზნესი და პროფესიული განათლება

ჩართულობიდან თანამშრომლობამდე

პირველი გვერდიდან

ვლადიმერ გოგობერიძე, თბილისის პროფესიული სასწავლო ცენტრი „სპექტრი“: *„პირველ რიგში, აუცილებელია სწავლის ხარისხის ამაღლება და საკვალიფიკაციო გამოცდების უმაღლეს დონეზე ჩატარება. ტრენინგები აუცილებლად უნდა იყოს მაღალ დონეზე და აუცილებლად დამკვირვებლების თვალთახედვის არეში. კონტინგენტის ზრდაც და უნარების განვითარებაც პირდაპირ კავშირშია კონკურენტუნარიანობასთან. კურსდამთავრებულთა დასაქმებაც იმაზეა დამოკიდებული, თუ რა მოთხოვნაა ბაზარზე და რამდენად აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს ჩვენ მიერ გამოშვებული კადრი. პოტენციური დამსაქმებელი აუცილებლად უნდა ჩაერთოს სასწავლებლის ტრენინგის მიმდინარეობაში, მან უნდა იცოდეს, თუ როგორი კადრი შეიძლება მოამზადოს მისთვის სასურველი პროფილის სასწავლებელმა. დამსაქმებელსა და განათლებას შორის პარტნიორობა უდავოდ პრობლემური საკითხია და, ამავდროულად, აუცილებელი პირობაცაა კადრების დასაქმებისათვის.“*

თამარ ტაბიძე, თბილისის პროფესიული სწავლების ცენტრი „იკაროსი“: *„ჩვენი ჯგუფი შევთანხმდით იმაზე, რომ ჩვენი ტრენინგისა და სწავლების ამოსავალი უნდა გახდეს სტუდენტთა კონტინგენტის მიღება და შერჩევა, რადგან, შემდგომ სწორედ ამაზეა დამოკიდებული სწავლების ხარისხი. პრიორიტეტულია პროფესიულ ორიენტაციაზე მუშაობის გაძლიერება, რაც გულისხმობს პროგრამების დეტალურად გაცნობას და, თავისთავად, ტესტირების ჩატარებას (მეტწილად ფსიქოლოგიური ხასიათის), რათა გამოვლინდეს პროფესიის დაუფლებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.*

როგორ უნდა მოხდეს რეალიზაცია და თვითრეალიზაცია – ამ საკითხთან დაკავშირებით გეტყვით, რომ 100-პროცენტიანი ალბათობა არ არსებობს, რადგანაც შესაძლოა, სტუდენტმა გარკვეული დროის შემდეგ, სწავლის პროცესში აღმოაჩინოს, რომ არჩეული პროფესია არ მოსწონს ან, უბრალოდ, შეუსაბამოა ამ პროფესიასთან. დამსაქმებელთა რეკომენდაციების მიხედვით ტრენინგის პროგრამების აგება, სწავლების ყოველ დონეზე, არის ძირი და საფუძველი სასწავლო პროგრამების შემუშავებაში. მესამე და მნიშვნელოვანია დასაქმების მაჩვენებელი, აქ აუცილებელია შემდგომი დაკვირვება, რჩებიან თუ არა ამა თუ იმ პროფესიაში კურსდამთავრებულები და როგორია მათი კარიერული ზრდა. აუცილებელია შეიქმნას მონაცემთა ბაზა და თვალი მივადევნოთ კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდის პროცესს. წამყვანი კი მაინც რჩება საკვალიფიკაციო გამოცდის მაღალ დონეზე ჩატარება. ჩვენ, პროფესიულ სასწავლებლებს, თვითონ შეგვიძლია შევქმნათ საკვალიფიკაციო კომისიები, რომლებშიც, ჩემი აზრით, არ უნდა იყვნენ ჩართულნი თავად სასწავლებლების წარმომადგენლები. სასურველია კომისიები დამსაქმებლებით, სამინისტროს წარმომადგენლებით, პროფესიული ასოციაციებისა და დარგის სპეციალისტებით დაკომპლექტდეს. სწორედ მათ უნდა შეაფასონ კურსდამთავრებულის კვალიფიკაცია. ამით, პირველ რიგში, მოხდება შიდაფილტრაცია და გვეცოდინება, რა დონის სპეციალისტს ვამზადებთ, ეს კი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ტრენინგების ხარისხის ამაღლებას. მაღალი ხარისხის სპეციალისტების მომზადებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რას ითხოვს ბაზარი, რა ტიპის კადრი სჭირდება მას. ეს არ უნდა იყოს ერთჯერადი პროცესი, კონტინგენტის განსაზღვრა ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად უნდა მოხდეს.

ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი, პირველ რიგში, ალბათ, დამსაქმებელი უნდა გახდეს. სწორედ მან უნდა განსაზღვროს, სწავლების რა ხარისხს მიაღწია სასწავლებელმა. მეორე პარტნიორად მოვიაზრებთ მრჩეველთა საბჭოებს, რომლებიც აუცილებლად უნდა არსებობდნენ სასწავლებლებთან და დაკომპლექტებული იყვნენ სპეციალისტებისაგან; აქვე დავამატებ საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებს, რომლებიც, ასევე, მოიაზრებიან სტრატეგიულ პარტნიორებად, რომლებიც გადმოგვცემენ თავიანთ გამოცდილებას, თუნდაც დღევანდელი მაგალითით, ეს არის ერთ-ერთი კომპონენტი სტრატეგიული პარტნიორობისა, რაც უდავოდ შეუწყობს ხელს სასწავლებლის შემდგომ წარმატებას“.

ანზორ თხილაიშვილი, თბილისის მრავალპროფილიანი პროფესიული სწავლების ცენტრი: *„დარგობრივმა ასოციაციებმა, რომლებიც, ალბათ, უახლოეს პერიოდში შეიქმნება, უნდა ჩამოაყალიბონ სპიალობათა ერთიანი ჩამონათვალი თავისი პარამეტრებით, ერთიანი სტანდარტითა და ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნებით. იქვე უნდა განისაზღვროს დონეები, რაც აუცილებელია დიფერენცირებული სწავლების პირობებში. ყველაფერი, მათ შორის სასწავლო პროცესი, ორიენტირებული უნდა იყოს კონკრეტულ მოსწავლეზე და ამ პირობებში შედეგი და ხარისხი არ დააყოვნებს. საერთოდ, სასწავლებლის მიზანი ხომ შედეგზე ორიენტირებული მოსწავლეა. ბუნებრივია, არსებობს დამსაქმებლებთან ურთიერთობის პრობლემა, აუცილებელია პარტნიორობა და არა საბაზრო ურთიერთობა. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია დამსაქმებლის დაბალანსებული მონაწილეობა სასწავლებლის ცხოვრებაში. დამსაქმებელთან პარტნიორულ ურთიერთობაზე უნდა იყოს მიბმული ფასიანი ადგილები, სასწავლო წარმოება, მცირე საწარმოები (ბიზნესინკუბატორი), სადაც სტუდენტები შექმნიან რეალურ პროდუქციას, რომლის რეალიზაციაც კანონიერ, ოფიციალურ ფარგლებში მოხდება. რაც შეეხება ფინანსირების საკითხს, გაურკვეველი და ბუნდოვანია. ბუნებრივია, თუ არსებობს პროგრამული ფინანსირება, უნდა არსებობდეს პროგრამებიც და, რაც მთავარია, ეს პროგრამები უნდა იყოს ღია და გამჭვირვალე. სახელმწიფომ დაფინანსების 30 პროცენტი მაინც უნდა აიღოს თავის თავზე, დაკვეთის დონეზე, რადგან დღევანდელი ფინანსირება სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ ხელფასებით განისაზღვრება. კარგა ხანია, მიდის საუბარი სამეურვეო თუ სამეთვალყურეო საბჭოების შექმნაზე. ჩვენი აზრით, უნდა ჩამოყალიბდეს სასწავლებლის კადრებით დაკომპლექტებული სამეურვეო საბჭო, ეს დიდ დახმარებას გაუწევს სასწავლებელს არსებული პრობლემების მოგვარებაში.“*

ორდღიანი კონფერენცია, ბრიტანელ ექსპერტთა აზრით, მართლაც ნაყოფიერი აღმოჩნდა, რადგან მათ ქართული პროფესიული განათლების სფეროში დაინახეს პარტნიორობისათვის მზაობა ორივე მხრიდან – როგორც სასწავლებლის, ასევე დამსაქმებელთა მხრიდან. *„თუ გუშინ და დღეს გამართული დიალოგის მიხედვით ვიმსჯელებთ, ორივე მხარეს ძალიან კარგად აქვს გაცნობიერებული იმის აუცილებლობა, რომ ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობა და მჭიდრო კომუნიკაციაა საჭირო,* – განაცხადა **გორდონ უილსონმა**, – კონფერენციაზე *ქართველ კოლეგებს ჩვენს ქვეყანაში არსებული გამოცდილება გავუზიარეთ. ვეცადეთ, ქართული აუდიტორიისათვის გვეჩვენებინა, რამდენად მნიშვნელოვანია, რომ პროფესიული განათლების დაწესებულებებმა გაითვალისწინონ დამსაქმებელთა ინტერესები და მოსაზრებები, რადგან საბოლოოდ ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს პროფესიული სწავლების დაწესებულებებს მაღალი ხარისხის კადრების გამოშვებაში. მინდა გითხრათ, რომ საქართველოში ეს კარგად აქვთ გაცნობიერებული, რაც რეალურად იძლევა იმის საფუძველს, რომ ბიზნესისა და პროფესიული სასწავლებლების პარტნიორობა წარმატებით განხორციელდება.*

როგორია დიდ ბრიტანეთში დასაქმების მაქსიმალური და მინიმალური ზღვარი, ამას, არათუ ზუსტად, მიახლოებითაც ვერ გეტყვით, რადგან ციფრები განსხვავებულია ცალკეული კოლეჯების, სასწავლებლების მიხედვით. მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით შემიძლია გითხრათ – ჩვენს ქვეყანაში, განათლების სფეროში, დღეს აქცენტი სწორედ პროფესიულ განათლებაზე კეთდება. დღეს უკვე ძალიან ბევრი უნივერსიტეტი მუშაობს პროფესიული განათლების პროგრამებზე, შესაბამისად, პროფესიული კვალიფიკაციები იქმნება, რაც იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ მეტი ყურადღება და ინტერესი იკვეთება ამ სფეროს მიმართ.

საქართველოში ბრიტანეთის საბჭოს მოწვევით ჩამოვედით კონკრეტულ სემინარზე და სიმართლე გითხრათ, გამიკვირდება, თუ ვინმე მეტყვის, რომ ბრიტანეთის საბჭოს არ აქვს დაგეგმილი შემდგომი ღონისძიებები – მონიტორინგი, დაკვირვება იმაზე, თუ რა გაკეთდა. ბუნებრივია, ამ კონფერენციასაც ექნება გაგრძელება. ამჯერად სემინარები ჩავატარეთ სომხეთსა და საქართველოში. სომხეთში ყოფნისას ნახევარი დღე ერთ-ერთ ტექნიკურ კოლეჯზე დაკვირვება-შესწავლას დავუთმე, სემინარების ორგანიზატორმა გადაწყვიტა, რომ საქართველოში უმჯობესი იქნება, მეტი დრო ჩვენი გამოცდილების გაზიარებას დავუთმოთ როგორც დამსაქმებლებთან, ისე პროფესიული განათლების დაწესებულებების ხელმძღვანელებთან. ვფიქრობთ, ნაყოფიერი სემინარი გამოგვივიდა.“

როუზ ფრეიზერი, მრჩეველი პროფესიული განათლების საკითხებში: *„პროექტის „უნარები სამუშაოსთვის“ მიზანია, ერთმანეთს დაუკავშიროს ბიზნესი და განათლება. პროექტს, რომელიც ინგლისში დაიწყო, ოთხი სხვადასხვა ქვეპროექტი აქვს, რომელთაგან ერთ-ერთია დიალოგი დამსაქმებელსა და განათლებას შორის. კონკრეტული სემინარი სწორედ განათლებასა და დამსაქმებელს შორის ურთიერთობას ემსახურება. აქედან გამომდინარე, ძირითადი მიზანი იმ რეკომენდაციების შემუშავებაა, რომელიც შემდგომში უკეთ დააკავშირებს ერთმანეთთან დამსაქმებელსა და განათლებას. გვინდა, კონფერენციაზე ორივე მხარეს დავანახოთ, თუ როგორ მოიგებს როგორც ბიზნესი, ისე საგანმანათლებლო დაწესებულება, გარდა ამისა, სტუდენტიც, რომელიც კარგი პროგრამების სწავლების შედეგად დასაქმდება.“*

რუსუდან ტყემალაძე, პროექტების მენეჯერი: *„ჩვენ მიერ ჩამოყვანილმა ბრიტანელმა სპიკერებმა იმ თემაზე ისაუბრეს, რომელიც, ერთი მხრივ, დაეხმარება ქართველ ბიზნესმენებს, უკეთ გაიცნონ პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულებთან დასაკავშირებელი გზები და საშუალებები, მეორე მხრივ კი, პროფესიული განათლების ცენტრის დირექტორებს – უფრო მჭიდროდ ითანამშრომლონ რეალურ დამსაქმებლებთან. საერთო ჯამში კი, ორივე მხარემ გააცნობიეროს, რა სარგებელი შეიძლება მოიტანოს პარტნიორობამ ორივე მხარისათვის, ანუ ეს ორდღიანი კონფერენცია მიეძღვნა უფრო ეფექტური გზების ძიებას პოტენციურ დამსაქმებლებსა და პროფესიულ სასწავლებლებს შორის. ბრიტანული გამოცდილებით, რომელიც კონფერენციაზე ექსპერტებმა გაგვაცნეს, ბიზნესი აქტიურად უნდა ჩაერთოს პროფესიული პროგრამების და სტანდარტების შემუშავებაში იმ მოთხოვნათა გათვალისწინებით, რაც მათ წინაშე დგას. პროფესიული სასწავლებელი სასწავლო პროგრამებს დამსაქმებლების გვერდის ავლით არ უნდა აკეთებდეს. საქართველოში ეს კავშირები მინიმალურია, ბუნებრივია, საჭიროა მეტი კავშირი და ურთიერთთანამშრომლობა.*

ბრიტანეთის საბჭო შეიმუშავებს რეკომენდაციებს და გადასცემს ორივე მხარეს, რათა მათ შორის მეტი და ნაყოფიერი თანამშრომლობა დამყარდეს. ამ რეკომენდაციებს, იმედია, ორივე მხარე გაითვალისწინებს. კონფერენციის შემდეგ ეტაპზე ვგეგმავთ, ორივე მხარე ერთად დავსვათ და ვასაუბროთ მათ შემდგომ თანამშრომლობაზე.“

ლალი ჯელაძე

გამოხმაურება

ექვსი ბრალდება, ექვსი სიცრუე

გაზეთ „ახალი განათლების“ 19-25 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა ე.წ. “პედაგოგთა ფორუმის“ მონაწილეების მიმართვა სპმთპ-ის პრეზიდენტ მანანა ღურჭუმელიძეს, რომელსაც ხელს აწერს №116 საჯარო სკოლის მასწავლებელი ქეთევან დოლიძე.

მიმართვაში მ. ღურჭუმელიძის მიმართ გამოთქმულია ექვსი ბრალდება, რაც ბინძურ ცილისწამებას წარმოადგენს და მიზნად ისახავს მის დისკრედიტაციას პედაგოგიური საზოგადოების თვალში.

ბრალდებებში აღნიშნული ფაქტების ჭეშმარიტებასთან შესატყვისობის შესახებ კომენტარი ვთხოვეთ სპმთპ-ის ვიცე-პრეზიდენტს, იურისტ მაია ლიპარტელიანს.

ბრალდება №1

მანანა ღურჭუმელიძემ მასწავლებელთა ქვიშხეთის დასასვენებელი სახლი საჩუქრად გადასცა თავის სიძეებს.

მაია ლიპარტელიანი: დადგენილება №110 ქვიშხეთის დასასვენებელი სახლის გაყიდვის შესახებ მიიღო სპმთპ-ის გამგეობამ 2005 წლის 16 დეკემბერს, იმ დროს, როდესაც ორგანიზაციის პრეზიდენტი იყო მანანა კობახიძე, ფიზიკურად გასხვისება კი მოხდა მანანა ღურჭუმელიძის პრეზიდენტობის დროს. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, ვინ როდის იყო ორგანიზაციაში პირველი პირი, რადგან დადგენილებაც კანონიერად იქნა მიღებული და აღსრულებაც კანონის ფარგლებში განხორციელდა. ე.წ. „დასასვენებელი სახლი“ სინამდვილეში წარმოადგენდა 21 ათას კვ. მეტრ ტერიტორიაზე მდებარე მთლიანად ან ნახევრად დანგრეულ კოტეჯებს და სამშენებლო ნაგავს. იგი განადგურდა ცნობილი არეულობის წლებში და, სარგებლის ნაცვლად, მხოლოდ ხარჯი მოჰქონდა ორგანიზაციისთვის (იგულისხმება მიწის გადასახადი და დარაჯის ხელფასი).

რადგან ერთიანად ამოდენა, გაპარტახებული ობიექტის შეძენის მსურველი არავინ გამოჩნდა, გადავწყვიტეთ, ნაწილ-ნაწილ გაგვეყიდა იგი კერძო პირებზე.

თავის დროზე, 2007 წლის 22 ნოემბრის №158 დადგენილებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, ქვიშხეთ-ტაშისკარის ზონაში, ერთი კვადრატული მეტრი მიწის ღირებულება განსაზღვრა 1,37 ლარით (ერთი ლარი და ოცდაჩვიდმეტი თეთრი). ე.ი. სპმთპ-ს შეეძლო „დასასვენებელი სახლის“ გაყიდვა 1,37 ლარზე გაანგარიშებით, ეს არ ეწინააღმდეგებოდა კანონის მოთხოვნას და ამ შემთხვევაში გაყიდული ობიექტის ღირებულება იქნებოდა 28 770 (ოცდარვაათას შვიდასსამოცდაათი) ლარი.

თუ მანანა ღურჭუმელიძეს ან მის ახლობლებს ამ ობიექტის ჩალის ფასად ხელში ჩაგდება უნდოდათ, როგორც ქ. დოლიძეს წარმოუდგენია, მას უპრობლემოდ შეეძლო ამის გაკეთება ხაშურის საკრებულოს დადგენილების საფუძველზე.

მანანა ღურჭუმელიძე, რომელსაც ორგანიზაციის ინტერესები ამოძრავებდა, ცხადია, ასე არ მოიქცა. სწორედ მისი ინიციატივითა და დაჟინებული მოთხოვნით იქნა მოწვეული აუდიტი და მოხდა ობიექტის აუდიტორული შეფასება. ერთი კვ. მეტრი მიწის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა არა 1,37 ლარის, არამედ 3,5 აშშ დოლარის ფარგლებში. ასევე, აუდიტორული წესით განისაზღვრა ცალკეულ ნაკვეთში მდებარე ავარიული კოტეჯებისა და სამშენებლო ნარჩენების ღირებულება და მხოლოდ ამის შემდეგ გაიყიდა ობიექტი. მთლიანობაში, მყიდველია 17 კერძო პირი (ზოგიერთმა ორი ნაკვეთი შეიძინა). მათ შორის ერთი ნამდვილადაა ქ-ნი მანანას სიძე, ქალიშვილის ქმარი ალექსანდრე ჩუბინიძე, თუმცა მას საჩუქრად არაფერი მიუღია და ამის წარმოდგენაც კი ყოველგვარ ფანტაზიას სცილდება. ალ. ჩუბინიძემ 1000 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, მასზე მდებარე ნახევრად დანგრეული კოტეჯი შეიძინა საბაზრო ფასში და იმდროინდელი კურსით მთლიანად გადაიხადა 4094, 25 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში, ანუ 6516.41 (ექვსიათას ხუთას თექვსმეტი ლარი და 41 თეთრი). სპმთპ-ის ბუღალტერიაში ინახება სახალხო ბანკის ქვითრის ასლი, რაც ადასტურებს თანხის გადახდას 2007 წლის 31 დეკემბერს.

რომელ სხვა სიძეზეა საუბარი პასკვილში, არ ვიცი, თუმცა, შემიძლია ვივარაუდო, საქმე იმაშია, რომ ერთ-ერთი მყიდველის, ვინმე ალექსანდრე ტყეშელაშვილის გვარი ემთხვევა მანანა ღურჭუმელიძის დის მეუღლის, კახაბერ ტყეშელაშვილის გვარს. შესაძლოა, შეცდომაც, თუ აქ მხოლოდ შეცდომაა და არა წინასწარ გამიზნული ცილისწამება, აქედან გამომდინარეობს.

მთლიანად, ე. წ. „დასასვენებელი სახლის“ გაყიდვით სპმთპ-მ მიიღო 144169 (ასორმოცდაოთხი ათას ასსამოცდაცხრა) ლარი. ქ-ნ ქ. დოლიძეს შეუძლია ეს თანხა შეადაროს 28 770-ს, რაც შეიძლება მიგვეღო სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული ნიხრით გაყიდვის შემთხვევაში და იოლად დარწმუნდება, მანანა ღურჭუმელიძემ გაძარცვა ორგანიზაცია თუ, პირიქით, დამატებით გაუთვალისწინებელი ათეულ ათასობით ლარი მოიზიდა ბიუჯეტში.

ბრალდება №2

მანანა ღურჭუმელიძე აშანტაჟებს დირექტორებს და აიძულებს მათ გადაიხადონ ხელფასიდან პროფკავშირის საწევრო.

მაია ლიპარტელიანი: ამ ე.წ. ბრალდებაზე იუმორის გარეშე როგორ შეიძლება ვისაუბრო. ეტყობა ქ-ნ ქეთევან დოლიძეს მანანა ღურჭუმელიძე მაღალი თანამდებობის სახელმწიფო მოხელე ჰგონია. რა ბერკეტები უნდა გააჩნდეს საზოგადოებრივი ორგანიზაციის – პროფკავშირის ხელმძღვანელს, რომ სახელმწიფო მოსამსახურეები დააშანტაჟოს. საქართველოში უამრავი დირექტორი არ იხდის საწევროს. ვინც იხდის, ამას აკეთებს ნებაყოფლობით, თანაც მათ დიდ ნაწილს, სკოლებში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, საათობრივი დატვირთვაც აქვს.

სპმთპ საჯარო სკოლის დირექტორებს სისტემატურად უტარებს ტრენინგებს, ხოლო უსამართლოდ დაჩაგვრის შემთხვევაში, ისევე იცავს მათ, როგორც მასწავლებლებს და, თუ ვინმე დაინტერესდება, უამრავი ფაქტი შეგვიძლია მივაწოდოთ ამის დასადასტურებლად.

ბრალდება №3

მანანა ღურჭუმელიძე აიძულებს დირექტორებს, პროფკავშირის სასარგებლოდ ჩარიცხული საბანკო ოპერაციების შედეგად, ზიანი მიაყენონ საკუთარ სკოლებს, ე.ი. სახელმწიფო ბიუჯეტს.

ეს ბრალდებაც უცოდინარობას ეფუძნება. ჩვენც და საჯარო სკოლების აბსოლუტური უმრავლესობა სახალხო ბანკის კლიენტები ვართ. მე შემიძლია წარმოგიდგინოთ ამ ბანკის 2008 წლის 10 აპრილის №18065-323/23125 წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ კლიენტებს შორის შიდა მომსახურება უფასოა.

ბრალდება №4

მანანა ღურჭუმელიძე ეწევა სკოლების ბუღალტერთა ექსპლუატაციას და არ უნაზღაურებს მათ ზეგანაკვეთურ შრომას.

მაია ლიპარტელიანი: ესეც სამართლებრივი აბსურდია. ძნელი წარმოსადგენია, რომ ამას წერს მასწავლებელი და ელემენტარულ კომპეტენტურობაზე პრეტენზიის მქონე პიროვნება. მანანა ღურჭუმელიძე არ არის სკოლების ბუღალტერთა დამსაქმებელი (მათი დამსაქმებლები დირექტორები არიან) და, ამდენად, ვერც აანაზღაურებს ამ ადამიანების შრომას. რაც შეეხება იმას, რომ ბუღალტრები რიცხავენ მასწავლებელთა საწევრო ანარიცხებს პროფკავშირის ანგარიშზე, ეს ხდება სამუშაო საათებში და არანაირად არ წარმოადგენს ზეგანაკვეთურ შრომას. ეს საკითხი სამართლებრივად რეგულირდება კანონით პროფკავშირების შესახებ, რომელიც, ჯერჯერობით, ძალაშია და მის მოთხოვნას ყველა უნდა დაემორჩილოს. ამასთან, ბუღალტრები თვითონვე არიან სპმთპ-ის წევრები და სარგებლობენ იმ მიღწევებითა და სიკეთეებით, რაც დაკავშირებულია სპმთპ-ის უშეღავათო ბრძოლასთან პედაგოგთა უფლებების დასაცავად, მაგალითად: ჯანმრთელობის დაზღვევით, გახანგრძლივებული შვებულებით, კვალიფიკაციის ამაღლებით და ა.შ.

ბრალდება №5

მანანა ღურჭუმელიძემ ოფისიდან გამოყარა და უარი უთხრა დახმარებაზე დევნილ ერედველ პედაგოგებს, სამაგიეროდ კორპორაციული ღრეობა-ვახშმები მოაწყო ქუთაისსა და თბილისში.

2008 წლიდან დღემდე რუსული აგრესიის შედეგად შიდა ქართლიდან დევნილი 1500-მდე პედაგოგის დასახმარებლად სპმთპ-ის ბიუჯეტიდან დაიხარჯა 101845 (ასერთი ათას რვაასორმოცდახუთი) ლარი. მათ შორის იყვნენ როგორც სამაჩაბლოელები, ასევე გორისა და ქარელის რაიონების, ოკუპაციის ზონაში მდებარე სოფლების მასწავლებლები.

რაც შეეხება, კონკრეტულად, ერედველებს, განვმარტავ, რომ ჩვენმა პროფკავშირმა დახმარება აღმოუჩინა მხოლოდ მის წევრებს. ერედველები არ არიან სპმთპ-ის წევრები. მათ ომამდე დატოვეს პროფკავშირი დირექტორის ზეწოლის შედეგად.

ერედველი პედაგოგები ჩვენი ოფისიდან არავის გაუყრია. მათ თავაზიანად აუხსნეს საქმის ვითარება, თანაც დაპირდნენ, სპმთპ-ის წევრთა სრულად დაკმაყოფილების შემდეგ თქვენს დახმარებაზეც ვიფიქრებთო. თუმცა, ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ მყოფმა ზოგიერთმა მასწავლებელმა, შეიძლება, კარგად ვერ გაიგო, რის გამო ეთქვა უარი.

წმინდა წყლის პროვოკაციაა ქეთევან დოლიძის საუბარი ე.წ. „კორპორაციულ ღრეობაზე“. კორპორაციული შეხვედრებისა და ვახშმების პრაქტიკა ფართოდაა გავრცელებული საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. ამ დროს ადამიანები უკეთ იცნობენ ერთმანეთს, მათ უვითარდებათ კომუნიკაციისა და ლიდერისთვის აუცილებელი სხვა თვისებები, თანაზიარობისა და კორპორაციულობის განცდა. ბუნებრივია, მსგავს პრაქტიკას ჩვენც მივმართავთ. ე.წ. „ქუთაისის ღრეობა“, რომელიც 2008 წლის 5 მაისს გაიმართა რესტორან „ტირიფებში“, სინამდვილეში იყო პროფკავშირის ისტორიაში უპრეცედენტო მასწავლებელთა სპარტაკიადის მონაწილე 700 პედაგოგისთვის (საქართველოს ყველა რეგიონიდან) გამართული საზეიმო ბანკეტი, რომელიც, სწორედ მანანა ღურჭუმელიძის თხოვნის საფუძველზე, თითქმის მთლიანად, ოცდაორიათას სამოცდახუთი ლარით დააფინანსა „სახალხო ბანკმა“ და რისთვისაც, ვსარგებლობ შემთხვევით, კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი მის იმდროინდელ ხელმძღვანელს ბ-ნ გიორგი გოგუაძეს (მთელი სპარტაკიადის დაფინანსებამ შეადგინა 27211 (ოცდაშვიდიათას ორასთერთმეტი) ლარი, კონკრეტულად ბანკეტზე დაიხარჯა 12020 (თორმეტიათას ოცი) ლარი. ქუთაისშივე, რესტორან „ამირანში“ გაიმართა პროფკავშირებში დემოკრატიული პროცესების ათი წლისთავისადმი მიძღვნილი კორპორაციული ღონისძიება, რომელშიც შვედ, პოლონელ და ებრაელ სტუმრებთან ერთად მონაწილეობა მიიღო საქართველოს ყველა რეგიონიდან მოწვეულმა ორასმა პროფკავშირულმა აქტივისტმა. ამ ღონისძიებაზე სპმთპ-ის ბიუჯეტიდან დაიხარჯა 2326 (ორიათას სამასოცდაექვსი) ლარი და არა 13 ათასი, როგორც ქეთევან დოლიძე წერს.

ანალოგიური, საშობაო კორპორაციული ღონისძიება გაიმართა 2009 წლის 7 იანვარს რესტორან „აფხაზეთში“, რომელსაც დაესწრო მთელი საქართველოდან ჩამოსული ორასამდე აქტივისტი. ხაზგასმით აღვნიშნავ, რაიონული/საქალაქო/ზონალური ორგანიზაციის ლიდერებმა თვითონვე გადაიხადეს მათი და მათ მიერ ჩამოყვანილი მასწავლებლების ღირებულება. სპმთპ-მ ცენტრალური აპარატის თანამშრომლებზე დახარჯა 2859 (ორიათასრვაასორმოცდაცხრამეტი) და არა 7000 ლარი.

„ახალი განათლების” პუბლიკაციაში ნათქვამი არაა, მაგრამ ქ-ნ ქეთის შემიძლია გავახსენო, რომ მასწავლებელთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად მასშტაბური კორპორაციული ღონისძიება ჩვენ 2007 წლის 5-6 ოქტომბერსაც გავმართეთ წყნეთის ბაზაზე, რომელშიც, ექვსასზე მეტმა პედაგოგმა და სკოლის დირექტორმა მიიღო მონაწილეობა. ასე რომ, ფულს თუ ვხარჯავთ, ისევ მასწავლებლისთვის.

ქეთევან დოლიძემ ყოველივე ეს, ჩანს, არ იცის და თუ ასეა, არცოდნა არცოდვაა, მაგრამ თუ იცის და მაინც წერს, მაშინ იგი, უბრალოდ, ცილისმწამებელია. ჩვენი ორგანიზაცია კორპორაციული ღონისძიებების პრაქტიკას იყენებდა, იყენებს, მომავალშიც გამოიყენებს და თუ ვინმე ამაში ცუდს ხედავს, ეს პირადად მისი პრობლემაა.

ბრალდება №6

მანანა ღურჭუმელიძემ ქუთაისში სახლი წაართვა ლარცულიანების ოჯახს და თვითმკვლელობამდე მიიყვანა ოჯახის უფროსი.

მაია ლიპარტელიანი: ამის თაობაზე მოკლე კომენტარს გავაკეთებ. რამდენადაც ვიცი, ამ ოჯახმა უარყო ეს საზიზღარი ცილისწამება და საპროტესტო წერილით მიმართა რედაქციას. იმედი მაქვს, „ახალი განათლება“ მასაც ისევე დაუთმობს ადგილს, როგორც ქ. დოლიძის პასკვილს. დანარჩენი საზოგადოებამ განსაჯოს.

ყველა დოკუმენტი, წერილი, ბრძანება თუ საბანკო ამონაწერი, რაც დაკავშირებულია პასკვილში მითითებულ ბრალდებებთან, ინახება სპმთპ-ს სათაო ოფისში. ქეთევან დოლიძესაც და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს თავისუფლად შეუძლია მიიღოს მათი ქსეროასლები.

და ბოლოს, კიდევ ერთი ინფორმაცია საკითხთან დაკავშირებით, სპმთპ-ის იურიდიულმა სამსახურმა მოამზადა სარჩელი ქეთევან დოლიძის წინააღმდეგ მანანა ღურჭუმელიძის პატივისა და ღირსების შემლახავი, შეთითხნილი ინფორმაციის გავრცელების გამო.

სასამართლო გადაწყვეტილების თაობაზე მოგვიანებით შეგატყობინებთ.

სპმთპ-ის პრესსამსახური


საქართველოს სახალხო ბანკი
საგადასახადო დავალება # 806539
31.12.2007
GEL
თანხა 6516.41
თანხა სიტყვიერად ექვსიათას ხუთასთექვსმეტი ლარი და 41 თეთრი
ბანკის აღნიშვნები
31.12.2007
31.12.2007
გადამხდელის დასახელება: ალექსანდრე ჩუბინიძე
ანგარიში (დებეტი) 4501160606
გადამხდელის ბანკი: ქ.თბილისი,სს "საქართ.სახალხო ბანკის" დიდუბის ფი-ი
ბანკის # 220101488
გადასახადის გადამხდელის დასახელება
საიდენტიფიკაციო ნომერი 01024015349
ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი
მიმღები დასახელება: საქპედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი
საიდენტიფიკაციო კოდი: 211372593
ანგარიში (კრედიტი) 3608341387901
გადამხდელის ბანკი: ქ.თბილისი,სს "საქართ.სახალხო ბანკის" ცენტრალური
ბანკის # 220101480
გადახდის დანიშნულება: მანანა ნაკვეთის ღირებულება 4094.25 აშშ დოლარის ექვ.ლარში
დამატებითი ინფორმაცია:
ხელმოწერები: ხელმძღვანელი: _____
მთ. ბუღალტერი: _____

გამოხმაურება

„თანახმად იესო ქრისტეს მცნებისა“

ვიცოდეთ და მუდამ გვახსოვდეს იაკობ გოგებაშვილი

169 წლის წინ, შუაგულ საქართველოში, ლიახვისპირა ლამაზ სოფელ ვარიანში თითქოს უჩვეულო და განსაკუთრებული არაფერი მომხდარა: ერთი ღარიბი მღვდლის, სიმონ გოგებაშვილის ოჯახში დაიბადა ბავშვი, რომელსაც იაკობი უწოდეს. არავის გაჰკვირვებია მისი მოვლინება ამ ქვეყნად. ანდა რატომ უნდა გაჰკვირვებოდათ? ჯერ კიდევ არავინ უწყოდა, რა მისიას აკისრებდა განგება ახალგაჩენილ ადამიანს, ჯერ კიდევ არავინ იცოდა ვინ დაიბადა პატარა იაკობის სახით. გაივლის სამოცდათორმეტი წელი და 1912 წლის 10 ივნისს, ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში, იაკობ გოგებაშვილის (ახლა უკვე დიდი იაკობის) ანდერძის აგების წინ დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე იტყვის: *„თანახმად იესო ქრისტეს მცნებისა (მარკოზი, გვ. 34) მან უარყო თავი თვისი, აღიღო ჯვარი მასწავლებლობისა და შეუდგა მშობელი ერის ღვთის მსგავსებისა და ქვეყანაზე გაბატონების გზაზედ დაყენებას. ბევრი შრომა, ბევრი შეურაცხყოფა და ბევრი დაბრკოლება განიცადა განსვენებულმა, მაგრამ შეუდრეკლად განაგრძო მუშაობა მშობელი ერის საკეთილდღეოდ“.*

ცოტა ხნის წინ, ამ გაზეთის ფურცლებზე, ცნობილმა პედაგოგმა გია მურღულიამ, კიდევ ერთხელ, ძალიან შთამბეჭდავად აუხსნა ჩვენს საზოგადოებას მნიშვნელობა იაკობ გოგებაშვილის ღვაწლისა. მან ნათლად განმარტა დიდი იაკობის ღრმა ეროვნულ-ფილოსოფიური და ზნეობრივ-პედაგოგიური მრწამსი, რომელიც გაკრისტალებულია მის გენიალურად მიგნებულ წინადადებაში - „აი, ია“. ამიტომ, ამაზე მკითხველის ყურადღებას არ შევაჩერებ. გავიმეორებ მხოლოდ ერთ ურყევ ჭეშმარიტებას: დიდი იაკობის „დედა-ენამ“ უდიდესი როლი შეასრულა ქართველთა ეროვნული ცნობიერების აღდგინებაში, რაც თავისი მნიშვნელობით შეიძლება „ქართლის მოქცევას“ შევადაროთ. *„საქართველოში ორი წიგნი იყო თვით არამწიგნობრთათვის ნაცნობი და მახლობელი, – ითქვა გასული საუკუნის დასაწყისში, – ამ წიგნით იზრდებოდნენ და ვაჟკაცდებოდნენ ჩვენს ქვეყანაში. ეს წიგნებია რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და ი. გოგებაშვილის „დედა-ენა“. დიდხანს „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენდა როგორც საანბანო, ისე საკითხავ წიგნს. შემდეგ „დედა-ენამ“ იკისრა მისი საანბანო მოვალეობა: ამიერიდან „დედა-ენას“ იმიტომ სწავლობდნენ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ წაეკითხათ, „ვეფხისტყაოსანს“ იმიტომ კითხულობდნენ, რომ „დედა-ენა ედიდებინათ“.*

მე თუმცა პრინციპულად წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ რაღაც რეიტინგების მიხედვით ათეულებად თუ ოცეულებად საჯაროდ, მთელი მოსახლეობის თვალწინ დავალაგოთ ქართველი ისტორიული მოღვაწენი, რადგან ეს ძალიან ცუდ გავლენას მოახდენს მოზარდი თაობის შეგნებაზე. აბა, როგორ უნდა ავუხსნა ჩემს შვილიშვილს ის, რომ საქართველოს „დიდ ათეულში“ ილია ჭავჭავაძეს მე-10 ადგილი უკავია, მასზე მაღალი რეიტინგი (და შესაბამისი ადგილი) კი საზოგადოებამ ხალხური სიმღერების დიდებულ შემსრულებელს, ცნობილ კინომსახიობ ქალს, ვირტუოზ ფეხბურთელსა და მოჭიდავეთა მწვრთნელს მიაკუთვნა. მაგრამ რახან ეს არის რეალობა, იმისთვის მაინც უნდა გავისარჯოთ, რომ ამ „დიდ ათეულში“ მართლაც დიდი ეროვნული მოღვაწეები მოხვდნენ.

საქართველოს „დიდ ათეულში“ თუ დიდი იაკობი ვერ მოხვდება, უნდა ვიფიქროთ, რომ არა მარტო ქართველთა ეროვნული შეგნებაა კატასტროფულად დაბალ დონეზე, არამედ ჩვენი ხალხის ცოდნა-განათლება უაღრესად მძიმე კრიზისს განიცდის. ჩვენ, პედაგოგებმა არ უნდა დავუშვათ ეს.

დიდი იაკობი „დიდ ათეულში“!

ზურაბ ცუცქირიძე,
პედაგოგიკის დოქტორი

ინფორმაცია

დასკვნითი გაკვეთილი ქართულ ლიტერატურაში

მოთხოვნები, რომლებიც სწავლებისადმია წაყენებული, გაკვეთილის ახალი ფორმის – დასკვნითი გაკვეთილის – დამკვიდრებას მოითხოვს სკოლაში. აქ ხდება მოსწავლეთა მიერ შეთვისებული მასალის გააზრება და სათანადო დასკვნების გაკეთებაზე მუშაობა. ყოველივე ეს კვლევა-ძიებით ხორციელდება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემეცნებითი უნარის განვითარებას.

სწორედ ასეთი საჩვენებელი დასკვნითი გაკვეთილი ჩაატარა თბილისის 56-ე საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, **ეთერ ხარაბაძემ**. გაკვეთილს ესწრებოდნენ: X კლასის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოს ავტორი **თამაზ ვასაძე**, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი **ნათია ნაცვლიშვილი**, 56-ე საჯარო სკოლის დირექტორი **ნელი სულთანიშვილი**, სკოლის პედაგოგები, მშობლები.

გაკვეთილის თემა: *დაკარგული სამშობლო* (გრიგოლ ორბელიანის ლექსის „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, იტალიელი პოეტის ჯ. ლეოპარდის ლექსის „იტალიისადმი“, ილია ჭავჭავაძის პოემა „აჩრდილიდან“ ნაწყვეტის – „აჩრდილის“ მიხედვით).

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეთა შემეცნებითი უნარის განვითარება, მშობლიური მიწა-წყლის სიყვარულის აღზრდა. რადგან კლასი არაქართულენოვანი იყო, მასწავლებელმა მოსწავლეებს შესავალ სიტყვაში შეახსენა, რომ მათი მამა-პაპანი სიკვდილს გამოექცნენ თავიანთი ქვეყნიდან, ქართველმა ხალხმა შეიფარა ისინი, ლუკმა გაუზიარა და იმ მიწაზე დაასახლა, რომლის თითოეულ გოჯს სისხლით იცავდა საუკუნეების მანძილზე.

გაკვეთილზე გამოყენებული ხედვითი მასალა: დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის და სხვათა ფრესკები; ბეთანიის, ყინწვისის, გელათის მონასტრების, დანტე ალიგიერის, პეტრარკას, ილია ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ლეოპარდის, ჯუზეპე გარიბალდის სურათები.

მუსიკალური გაფორმება: ქართული საგალობლები, ბეთჰოვენის „მთვარის სონატა“, შოპენის „ნოქტიურნი“, იაკობ ბობოხიძის მუსიკა, შექმნილი გალაკტიონ ტაბიძის ლექსზე „მზეო თიბათვისა“.

მოსწავლეებმა: **ალექსანდრე რუხაძემ, ვლადიმერ გიგინეიშვილმა, ნიგულია მამედოვამ, დავით მურადოვმა, ოქსანა ამიდოვამ, ნადეჟდა ჭინჭარაულმა** და **გურამ დავოიანმა** წაიკითხეს მათ მიერვე მომზადებული თემები: „თამარ მეფე“, „გრიგოლ ორბელიანის ცხოვრება და შემოქმედება“, „ბეთანიის მონასტერი“, „იტალიელი პოეტის – ლეოპარდის – ცხოვრება და შემოქმედება“, „ჯუზეპე გარიბალდი“. მუსიკის ფონზე წარმოთქვეს ლექსები.

მასწავლებელმა დასვა ჯერ ცალკეული, შემდეგ სამივე ნაწარმოების ირგვლივ განმაზოგადებელი კითხვები: რა საერთო და რა განსხვავებაა ამ სამ ნაწარმოებს შორის? არის თუ არა ბეთანიის ტაძარი მიტოვებული? როგორია გრიგოლ ორბელიანის პოზიცია საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ? რა განსხვავებაა სამივე ნაწარმოების ლირიკულ გმირთა შორის? და სხვ. შესაბამისი პასუხები იყო: სამივე ნაწარმოებში ნაჩვენებია სამშობლოს მძიმე მდგომარეობით გამოწვეული მწუხარება და დასახულია სამშობლოს ხსნის გზები.

გრიგოლ ორბელიანის აზრით, ქართველი ერი სხვა ერთა გვერდით უნდა დადგეს რწმენით, ენით, სამშობლოს სიყვარულით. ილია ჭავჭავაძეს საქართველოს ხსნის გზად მიაჩნია ქართველი ერის მიერ ზოგადი ცხოვრების გაკვლევა და ჭკუით საზოგადო ცხოვრების დენის განჭვრება. ლეოპარდი თავის ხალხს იარაღით ბრძოლისკენ მოუწოდებს.

გრიგოლ ორბელიანისა და ლეოპარდის ლირიკული გმირები თვით ავტორები არიან, ილია ჭავჭავაძის „აჩრდილის“ კი – საქართველოს წარსულისა და აწმყოს სიმბოლური სახე-აჩრდილი.

გრიგოლ ორბელიანის აზრით, ქართველმა ხალხმა შერისხა ცას, ღმერთს, რადგან ვერ მოუარა ღვთისგან ბოძებულ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას, „სხვას განუბოძა“. მასწავლებელმა გაკვეთილის თემა საქართველოს ოკუპაციის საკითხებს დაუკავშირა. მოსწავლეებს შეახსენა, როდის მოხდა საქართველოს პირველი ოკუპაცია, შემდეგ – მეორე.

გაკვეთილი შეაფასეს ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა თამაზ ვასაძემ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელმა ნათია ნაცვლიშვილმა, სკოლის დირექტორმა ნელი სულთანიშვილმა.

აღინიშნა, რომ X კლასის სახელმძღვანელოში კარგად არის შერჩეული მასალა, რაც დასკვნითი ხასიათის გაკვეთილების ჩატარების საშუალებას იძლევა. ბატონმა თამაზმა განაცხადა, რომ კარგ სახელმძღვანელოს მასწავლებელმა უნდა შეასახას ხორცი.

მოსწავლეებმა შეკითხვები დაუსვეს სახელმძღვანელოს ავტორს.

აღსანიშნავია, რომ პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ეთერ ხარაბაძე კარგად უხამებს ერთმანეთს სამეცნიერო და პრაქტიკულ მუშაობას. გამოქვეყნებული აქვს შრომები ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხებზე: „სამყაროს აგებულების სისტემა „ვეფხისტყაოსანში“ და მასზე მუშაობა სკოლაში“; „ადამიანის გაღვთაებრიობის იდეა „ვეფხისტყაოსანში“ ავთანდილის მხატვრულ სახესთან დაკავშირებით და მასზე მუშაობა სკოლაში“; „ვეფხისტყაოსანში“ ზეციურ ქალაქ-სახელმწიფოს მულღაზანზარის სახელმწიფოებრივი მოდელი და მეფე ნურადინ-ფრიდონი“; „ვეფხისტყაოსნის“ ინტონაცია მისი ლექსის სტრუქტურასთან დაკავშირებით და მასზე მუშაობა სკოლაში“ და სხვ.

ნინო საყვარელიძე

საქართველოს ფოსტა
GEORGIAN POST

მომხმარებლის საიმედო პარტნიორი მომსახურების მრავალფეროვნებით ფართო ქსელითა და დაბალი ტარიფებით

საქართველოს საერთაშორისო დაჩქარებული ფოსტა - საერთაშორისო დაჩქარებული ექსპრეს გზავნილები - მსოფლიოს 200 ქვეყანასა და საქართველოს ყველა რეგიონში;

საკურიერო მომსახურება - გზავნილის 24 საათში დამისამართების ადგილზე ჩაბარება;

პირდაპირი ფოსტით მომსახურება - სარეკლამო ბროშურებისა და ფლაერების ქვეყნის მაშტაბით გავრცელება;

ქართული მარკები - საკოლექციო და საფოსტო მარკები;

საფოსტო გზავნილებათა (წერილები, ამანათები,ბანდეროლები) - მიღება, გაგზავნა და ჩაბარება ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ, მსოფლიო საფოსტო კავშირისა და საერთაშორისო დაჩქარებული ფოსტის (EMS) ქსელის მეშვეობით;

კომუნალური მომსახურების (ელექტროენერგიის, წყლის, გაზის, დასუფთ

სახელობო განათლების მოსწავლეთა პირველი საქველმოქმედო ნაბიჯები

თბილისის 22-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი **გულიკო ხორბალაძე**) სახელობო განათლების პროექტის მონაწილე მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო. შემოსული თანხის ნაწილი ფონდ „იავნანაში“ უსახლკარო ბავშვების დასახმარებლად გადაირიცხება, ხოლო დარჩენილი თანხა მოხმარდება სკოლაში სახელობო სწავლებისა და გაკვეთილებისათვის საჭირო ნედლეულის შეძენას. პროექტი „სახელობო განათლების ინტეგრირება ზოგად განათლებასთან“ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ერთობლივი პროექტია, პილოტირება საქართველოს 39 საჯარო სკოლაში, 2008-09 სასწავლო წლიდან, დაიწყო. მოსწავლეს შესაძლებლობა ეძლევა, XI-XII კლასებში, სასკოლო კურიკულუმის არჩევითი საგნის გარდა, აირჩიოს სახელობო სპეციალობაც. საპილოტე სკოლებში სწავლება მიმდინარეობს 18 სპეციალობაში, შემდეგ სფეროებში: ხალხური რეწვა, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, ავტოსაქმე, კომპიუტერული პროგრამები, პროთეზირება, საამკინძაო საქმე.

ანი ქიტაიშვილი, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის პროფესიული სასწავლო გეგმების კოორდინატორი: *„პროექტის მიმართ დაინტერესება საკმაოდ დიდია, 39 სკოლაში საპილოტე სწავლება მოსწავლეთა 65-მა პროცენტმა აირჩია, მე-12 კლასში – 75-მა.*

პროექტის მიზანია, მოხდეს სახელობო განათლებისა და ზოგადი განათლების ინტეგრირება, რაც მოსწავლეს ჩამოუყალიბებს საფუძველს შემდგომი პროფესიული მომზადებისთვის. ზოგადი განათლების დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულთათვის გაცილებით მარტივი იქნება დასაქმება და მომავალი კარიერის დაგეგმვა.

პროექტი ხელს შეუწყობს იმ მოსწავლეებს, რომლებიც კონკურენციის ან ინტერესის არქონის გამო ვერ აგრძელებენ სწავლას აკადემიური თუ უმაღლესი პროფესიული განათლების მიმართულებით. საპილოტე სკოლებში 72 სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა ისწავლება. განსაკუთრებით პოპულარულია: ავტოსაქმე, ჭრა-კერვა, ხალიჩები, ხის მხატვრული დამუშავება, მინანქარი, გრაფიკა. ერთი სასწავლო წლის განმავლობაში სახელობო სწავლებას 108 საათი ეთმობა. სახელობო საგანმანათლებლო პროგრამები უნარ-ჩვევებზეა ორიენტირებული. პროგრამებში, საშუალოდ, 50 პროცენტი პრაქტიკულ სწავლებას ეთმობა. მოსწავლეები პრაქტიკას გადიან სკოლის სახელოსნოებში, პროფესიული სწავლების ცენტრებში ან იმ ორგანიზაციებში, რომლებთანაც სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული“.

აღსანიშნავია, რომ მატერიალური ბაზის მოწყობის მიზნით (დანადგარები, სამუშაო იარაღები, ჩარხები, მასალები) სკოლებს საშუალება ჰქონდათ, მცირე გრანტების მოსაპოვებლად კონკურსში მიეღოთ მონაწილეობა. ვინაიდან საპილოტე 39 სკოლიდან ოთხ სკოლას სახელობო სწავლებისთვის საჭირო მატერიალური ბაზა ჰქონდა, პროექტის განხსახორციელებლად მცირედი გრანტი მოითხოვა 35-მა სკოლამ. დღევანდელი გამოფენა-გაყიდვა ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ დიდი ინტერესითა და მონდომებით ეუფლებიან მოსწავლეები სახელობო განათლებას.

ნინო ლაბარტყავა, პროექტის კონსულტანტი: *„ჩვენ ჩავატარეთ კვლევა თბილისის სკოლებში, თუ რატომ ირჩევენ მოსწავლეები ამ სპეციალობებს. აღმოჩნდა, რომ, პირველ რიგში, ეს მათი ინტერესებიდან გამომდინარეობს. ამასთანავე, ისინი ფიქრობენ, რომ ეს სპეციალობები ცხოვრებაში გამოადგებათ. მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი აპირებს კიდეც სწავლა მიღებული სპეციალობით გააგრძელოს. ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ექნება მეორე სპეციალობა, ანუ გარკვეული ხელობა, რომელიც შესაძლოა შემოსავლის წყარო გახდეს. აქედან გმომდინარე, კვლევამ გვიჩვენა, რომ მოსწავლეთა მხრიდან სახელობო სწავლებისადმი დაინტერესება ძალიან დიდია“.*

გულიკო ხორბალაძე, 22-ე საჯარო სკოლის დირექტორი: *„ერთი წლის წინ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, სახელობო გრანტის მოსაპოვებლად, ჩვენ სპეციალური პროექტი მოვამზადეთ და მონაწილეობა მივიღეთ აღნიშნულ კონკურსში. მიზანი – სახელობო სწავლება და ინტეგრირება ზოგად განათლებასთან – კარგად შეესატყვისება თავად სკოლის ხედვას და მისიას. მოგეხსენებათ, ჩვენი სკოლა წლების განმავლობაში დიმიტრი უზნაძის სახელობის იყო. თავის დროზე აქ ინერგებოდა უზნაძისეული ფილოსოფია, პედაგოგიური ფსიქოლოგია. – „სკოლა პატარა სახელმწიფოა და მოსწავლეები მისი მოქალაქეები არიან“ – ამ სიტყვებიდან გამომდინარე, მთელი აქცენტი გადატანილი გვაქვს კარგი მოქალაქეების აღზრდაზე, ამიტომ სწრაფად გამოვეხმაურეთ ამ შესანიშნავ იდეას. სკოლაში შევარჩიეთ კლასი და ავირჩიეთ სამი სპეციალობა: საკონდიტრო საქმე, სადურგლო, საზეინკლო ხელობა. პროექტის განხორციელება სკოლაში სექტემბრიდან დავიწყეთ, შედეგზე სახელობო პროექტის მონაწილე მოსწავლეთა ნამუშევრების დღევანდელი გამოფენა-გაყიდვაც მეტყველებს. ჩემი სკოლის სახელით მადლობა მინდა გადავუხადო პროექტის ინიციატორებს, სახელობო სწავლებით დაინტერესებულ მოსწავლეებს.*

სახელობო განათლებამ სკოლის კურსდამთავრებულებს თუნდაც აუცილებელი უნარ-ჩვევები რომ შეასწავლოს, ეს მათი შემდგომი წარმატების საწინდარი იქნება“.

თამუნა ნატროშვილი, XI კლასის მოსწავლე: *„სახელობო განათლების შესწავლას თავიდანვე დიდი ინტერესით შევუდექი. ძალიან გამიხარდა, როცა შევიტყვე, რომ სკოლაში საკონდიტრო საქმეს გვასწავლიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ საგანს კვირაში ორი საათი აქვს დათმობილი, საკმაოდ ბევრი რამ ვისწავლეთ. ვისურვებდი, სახელობო სწავლებას კვირაში ოთხი საათი დაეთმოს“.*

ირაკლი სამსიანი, XI კლასის მოსწავლე: *„ძალიან მომწონს სადურგლო საქმე. დღეს გამოფენა-გაყიდვაზე ჩემი დამზადებული ნივთები შევთავაზე დამთვალიერებელს. სწავლების პროცესი საინტერესოა, უსაფრთხოების ზომები მკაცრადაა დაცული. მართალია, ეს ჩემი საბოლოო პროფესია არ იქნება, თუმცა, დაუფლებული ხელობა ცხოვრებაში ყოველთვის გამომადგება“.*

მირანდა მიქაბერიძე, XI კლასის მოსწავლე: *„22-ე საჯარო სკოლაში სასწავლებლად წელს გადმოვედი. როცა გავიგე, აქ სახელობო განათლების დაუფლება იყო შესაძლებელი, ძალიან გამიხარდა. საკონდიტრო კულინარიის შესწავლა საკმაოდ საინტერესოა და თანაც სახალისო. კულინარიას ქალბატონი **ნინო ცინცაძე** გვასწავლის, ხშირად ჩემ მიერ მომზადებული საკონდიტრო ნაწარმით ოჯახის წევრებსაც ვუმასპინძლდები“.*

გიორგი საბიაშვილი, XI კლასის მოსწავლე: *„სადურგლო და საზეინკლო საქმეს შრომის პედაგოგი **ვახტანგ პერტია** გვასწავლის. დიდი ინტერესითა და მონდომებით ვეუფლებით ყოველი ახალი მოდელის შესწავლას. ყველა თანატოლს ვურჩევ, დაეუფლოს სახელობო სწავლებას, მსგავსი საქმიანობა ერთგვარი განტვირთვაც კია. დიდი მადლობა ჩემს სკოლას, პროექტის ინიციატორებს, რომ ასეთი საინტერესო და გამოსადეგი საგანი შემოიტანეს სკოლაში“.*

თინიკო სხირტლაძე, XI კლასის მოსწავლე: *„მე და ჩემი მეგობრები მაქსიმალურად ვცდილობთ, ყველაფერი ხარისხიანად და კარგად გავაკეთოთ. ჩემთვის საინტერესოა საკონდიტრო კულინარია და ვფიქრობ, მომავალში სწავლას ამ სპეციალობით გავაგრძელებ“.*

მაკა ყიფიანი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების სასწავლო პროცესში ჩართვისათვის პროექტი „ინკლუზიური განათლების ელჩები“ განხორციელდა

2009 წლის 5 მარტს, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“, პროექტის „ინკლუზიური განათლების ელჩები“ დახურვის ცერემონია გაიმართა. პროექტი კავშირმა „მშობელთა ხიდმა“ განახორციელა, ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვების“ (Save the Children), „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ და „ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“ (USAID) ხელშეწყობით. აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავდა საზოგადოების მომზადებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სასწავლო პროცესში ჩართვისათვის.

პროექტში „ინკლუზიური განათლების ელჩები“ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის 29 სკოლა იყო ჩართული.

ღონისძიებას განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **ანა ჟვანია** დაესწრო. მისასალმებელ სიტყვაში მან მადლობა გადაუხადა პროექტის ავტორებს, პროექტში ჩართულ მოსწავლეებს, მასწავლებლებს, მშობლებს, ასევე პროექტის მხარდამჭერ ორგანიზაციებს. ასევე ისაუბრა ინკლუზიური განათლების მნიშვნელობასა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სასწავლო პროცესში ჩართვის აუცილებლობაზე.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის №198 და №31 საჯარო სკოლების მოსწავლეებს ჩაუტარდათ მასტერკლასები ფოტოგრაფიაში. გადაიღეს ფოტოები წინასწარ განსაზღვრულ თემებზე, როგორიცაა: „ბავშვთა უფლებები“, „შეზღუდული შესაძლებლობები და განათლება“, „საზოგადოება და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები“, „მედიის დამოკიდებულება“, „ჩემი სკოლა“, „დასაქმება“ , „მეც შემიძლია“ და სხვ.

ბავშვები გაეცნენ საკუთარ უფლებებს და განიხილეს მათთვის საინტერესო თემები, იურისტ-კონსულტანტთან ერთად.

„ელჩებმა“, პროექტის განმახორციელებელ გუნდთან ერთად, ტრენინგ-სემინარები ჩაუტარეს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის საჯარო სკოლების წარმომადგენლებს.

ბავშვების მიერ გადაღებული საუკეთესო ფოტოებით გაფორმდა ტრიპლეტი, რომელიც პროექტის ფარგლებში გამოიცა და რომლის მიზანია ინფორმაციის გავრცელება შეზღუდულ შესაძლებლობებზე და ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე.

ღონისძიებაში მონაწილე ბავშვებს სიგელები და მადლობის წერილები გადაეცათ. გაიმართა პროექტში ჩართული მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.

ინკლუზიური განათლება საქართველოს ათი რეგიონის საჯარო სკოლებში დაინერგება

2009 წლის 6 მარტს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, **ნიკა გვარამიამ** და ნორვეგიის სამეფოს ელჩმა საქართველოში **ჯონ ემგრერგმა** ხელი მოაწერეს პროექტს **„ინკლუზიური განათლების განვითარება საქართველოს 10 რეგიონის საჯარო სკოლებში“**.

სამწლიანი (2009-2011) პროექტი, ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის და ორგანიზაციის "გადავარჩინოთ ბავშვები" მხარდაჭერით განხორციელდება.

ამ პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება: სკოლებში შესაბამისი ფიზიკური გარემოსა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა რეგისტრაცია, შეფასება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნა; სკოლის პედაგოგების, ადმინისტრაციისა და სპეციალისტების (ფსიქოლოგი, ლოგოპედი) პროფესიული განვითარება; რეგიონებისთვის მხარდამჭერი მულტიდისციპლინური გუნდების ფორმირება და მომზადება და სხვ.

ნიკა გვარამიამ, მისასალმებელ სიტყვაში, ინკლუზიური განათლების აუცილებლობაზე ისაუბრა. *„სახელმწიფოს ნაკისრი აქვს ვალდებულება, რომ განათლების მისაღებად ყველა ბავშვს თანაბარი შესაძლებლობა მიეცეს. ეს კონსტიტუციითაც არის აღიარებული. აღნიშნული პროექტის განხორციელება სწორედ იმას ისახავს მიზნად, რომ განათლების გარეშე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე არც ერთი ბავშვი არ დარჩეს“*, – განაცხადა მინისტრმა. მან, აგრეთვე, ყურადღება გაამახვილა ნორვეგიისა და საქართველოს ურთიერთთანამშრომლობაზე ინკლუზიური განათლების დანერგვაში.

ნორვეგიის სამეფოს ელჩმა საქართველოში ჯონ ემგრერგმა განაცხადა, რომ საქართველოსა და ნორვეგიას შორის ურთიერთობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება სწორედ განათლების სფეროში პარტნიორობაა და ნორვეგია მზადაა, საქართველოს საკუთარი გამოცდილება გაუზიაროს.

ხელმოწერის ცერემონიას ნორვეგიის სამეფოს განათლებისა და კვლევების სამინისტროს განათლებისა და ტრენინგების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე **კარი ბრუსთადიც** დაესწრო.

ინკლუზიური განათლება უკვე დაინერგა თბილისის 15 საჯარო სამოდელო სკოლაში. დღეისათვის ამ საპილოტე სკოლებში 250-მდე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე სწავლობს. უკვე გადამზადდა 300-მდე მასწავლებელი.

თბილისის №88 საჯარო სკოლის პედკოლექტივი დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ქალბატონი

ეთერ მამფორია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სართიჭალის №1 საჯარო სკოლის დირექცია, პედაგოგიური კოლექტივი და მოსწავლეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ამავე სკოლის პედაგოგი

გივი (ბიჭიკო) მჭედლიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პრემიერა წარმატებული მასწავლებლებისათვის

დიდუბე-ჩუღურეთის პროფკავშირის რაიონულმა ორგანიზაციამ პედაგოგებს 8 მარტი ორიგინალურად მიულოცა, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუზეუმში 83 პედაგოგი, 7 მარტს, მოიწვია და გამორჩეული წარმატების მქონე 14 პედაგოგი, საზეიმო ვითარებაში, სიგელებითა და სუნამოებით დაასაჩუქრა. სიგელები ორ მამაკაც პედაგოგსაც ხვდა წილად, 23-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, **კახაბერ თოდაძეს** და 169-ე საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგს, **ნიკოლოზ გურგენიძეს**.

ღონისძიების ორგანიზატორმა, ქალბატონმა **თამარ ბარისაშვილმა** აღნიშნა, რომ: *„პედაგოგებს წახალისება აუცილებლად სჭირდებათ, მართალია წარმატებული მასწავლებლები პრეზიდენტის სტიპენდიით წაახალისეს, მაგრამ დამერწმუნეთ, არანაკლებ წარმატებული პედაგოგები გვყავს, რომლებიც ასევე იმსახურებენ ყურადღებასა და თანადგომას.*

ძალიან გამახარა და გამაოცა იმ საქმემ, რასაც თქვენ აკეთებთ სკოლებში, დაწყებული ახალბედა მასწავლებლებიდან დამთავრებული დირექტორებით. დღევანდელი ჩვენი შეხვედრის მიზეზიც, სწორედ თქვენი წარმატებული საქმიანობაა. როცა გადავხედე დიდუბე-ჩუღურეთის მასწავლებელთა მიღწევებს, მართალი გითხრათ, გავოცდი, რამდენი ნიჭიერი, შემოქმედი პედაგოგი გვყავს, რამდენი რესურსი გვაქვს. დღეს ჩვენ შევარჩიეთ ის პედაგოგები, რომლებმაც სექტემბრიდან დღევანდლამდე გამოიჩინეს თავი კონკურსებსა თუ პროექტებში. ჩვენი რაიონის ორგანიზაცია ახალი შექმნილია და გპირდებით, რომ ყველა ახალი, კეთილი საქმე ჩვენგან იქნება დაფასებული. ვეცდებით, ჩვენი პედაგოგების ცხოვრება უფრო შემოქმედებითი და საინტერესო გავხადოთ“.

83 პედაგოგიდან ყველაზე წარმატებული 14 პედაგოგი დასახელდა: **მაია მიქაძე** – 24-ე სკოლა, **მაია კუპრაშვილი** და **მზია ქართველიშვილი** – 23-ე სკოლა, **ჯულიეტა მახარაძე** – სმენადაქვეითებულ ბავშვთა ბაგა-ბაღი, **ირმა თიკანაძე** – მე-4 სკოლა, **ქეთევან ყანჩაველი**, **მარინა ზაქარეიშვილი** და **თამარ ქანაშვილი** – 22-ე სკოლა, **ეკატერინე სიმონიშვილი** - 169-ე სკოლა, **ნინო ჩქარეული** – 36-ე სკოლა, **ლენდა ტერიშვილი** – მე-18 სკოლა. დაჯილდოვეს აგრეთვე: **კახაბერ თოდაძე** – 23-ე სკოლა და **ნიკოლოზ გურგენიძე** - 169-ე სკოლა.

ჯულიეტა მახარაძე, სმენადაქვეითებულ ბავშვთა ბაგა-ბაღის პედაგოგი: *„ორმოცი წელია, სმენადაქვეითებულ ბაგა-ბაღში ვმუშაობ. ბუნებრივია, ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის განმავლობაში ბევრი სირთულე და ბევრიც სიხარული მქონდა. სულ ცოტა მადლიერებაც კი, რომელსაც ჩვენ მიმართ ვინმე გამოხატავს, ძალიან გვახარებს. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო დღევანდელი ღონისძიების ორგანიზატორებს ჩემი ღვაწლის დაფასებისთვის. მასწავლებლებს აუცილებლად სჭირდება სტიმული, აღიარება, რადგანაც ჩვენ წლების განმავლობაში ენთუზიაზმით ვემსახურებით მომავალი თაობების აღზრდას, ამის დანახვა კი უდაოდ სასიხარულო და სტიმულის მომცემია. 8 მარტი, საჩუქრებითა და სიგელებით მოგვილოცეს და, რაც მთავარია, პრემიერაზეც დაგვპატიჟეს, რაც ასევე ძალიან სასიამოვნოა.“*

კახაბერ თოდაძე, 23-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: *„უცნაურია, მაგრამ დღევანდელ ღონისძიებაზე ორი მამაკაციც დაგვაჯილდოვეს, მე, როგორც „ირმის ნახტომის“ გრანპრის მფლობელი პედაგოგი საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევრისთვის. ჩემმა სადამრიგებლო კლასმა იზა ორჯონიკიძის 70 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი გაზეთი გამოსცა. ქალბატონი იზა ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულია. გაზეთი, მართლაც საინტერესო გამოვიდა – ინფორმაციები, შემოქმედება, საინტერესო ამბები, ინტერვიუები. საინტერესო ინტერვიუსთვის გრანპრი მეცხრე კლასის მოსწავლემ, **სალომე დიღმელაშვილმა** აიღო. ბუნებრივია, მახარებს, ჩემი მოსწავლის წარმატებაც და დღევანდელი დღეც, როცა ეს საჯაროდ გაცხადდა და ჩემი და ჩემი მოსწავლეების წარმატებისთვის სიგელით დავჯილდოვდი.“*

ნიკოლოზ გურგენიძე, 169-ე საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგი: *„მეთორმეტე კლასში ქართულის მასწავლებელთან ერთად ჩავატარეთ ინტეგრირებული გაკვეთილი თემაზე: „ქალი ნივთი თუ ქალი პიროვნება“. ფსიქოლოგიურად და მენტალურად საქართველოში საუკუნეების წინ იდგა ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხი: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“. მიუხედავად ამისა პრობლემას მაინც ვაწყდებით, სწორედ ამიტომ განვიხილეთ გაკვეთილზე გენდერული თანასწორობა და ქალის ემანსიპაციის საკითხები. ასევე წარმოვადგინეთ ის ადათ-წესები, რომლებიც კიდევ არის შემორჩენილი. გაკვეთილი მართლაც საინტერესო გამოვიდა და ასეც შეაფასეს. დიდ მადლობას ვუხდი დღევანდელი ღონისძიების ორგანიზატორებს და 8 მარტს ვულოცავ ყველა ქალბატონს“.*

პედაგოგებს 8 მარტი სპმთპ-ის თავმჯდომარემ, **მანანა ღურჭუმელიძემ** მიულოცა, წარმატებები უსურვა და მხნეობისაკენ მოუწოდა. სკოლამდელი აღზრდის პედაგოგებს (რომლებიც აღმზრდელებად მოიხსენიებიან) დაპირდა, რომ აუცილებლად იბრძოლებს მათთვის პედაგოგის სტატუსის მინიჭებისთვის, რადგანაც *„სკოლამდელი აღზრდის მასწავლებლებს ყველაზე მნიშვნელოვანი მისია აკისრიათ“.*

ღონისძიების დასასრულ, პედაგოგებმა **ლევან წულაძის** სპექტაკლის „ქალი ძაღლით“ პრემიერა ნახეს. თამარ ბარისაშვილი მომავალშიც საინტერესო კულტურულ ღონისძიებებს დაჰპირდა რაიონის პედაგოგებს.

ლალი ჯელაძე

სპორტი

მძლეოსნობის ახალი იმედი

ყველაფრის მიუხედავად, ჯერ ადრეა ლაპარაკი ახალ ვიქტორ სანეევზე ან კარლ ლუისზე, მაგრამ ამ ასაკში ასეთი შედეგები სანეევს და ლუისს არ ჰქონიათ. ცხადია, მაშინ სხვა დრო იყო – ისინი სხვა ეპოქაში ასპარეზობდნენ და სხვა შედეგებზე კეთდებოდა აქცენტი. ამიტომ შედარება, იქნებ, უადგილოა, მაგრამ თავად ფაქტი მაინც საყურადღებოა. სადღეისოდ მისი შედეგები მსოფლიო მასშტაბითაც საყურადღებოა – თავის ასაკში მუდამ პირველი ან მეორეა. სწორედ ამიტომ **ლაშა ღულელაური**, ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანის საჯარო სკოლის მეცხრეკლასელი სამართლიანად მიიჩნევა ქართული მძლეოსნობის იმედად და ხვალინდელ სახედ.

ლაშა სოფელშივე ვარჯიშობს მამის – **უსუფ ღულელაურის** მეთვალყურეობით. რამდენიმე წლის წინ ამ ენთუზიასტმა კაცმა სოფლის სკოლაში მძლეოსნობის ჯგუფი ჩამოაყალიბა და დღეს გარკვეული წარმატებებიც მოეპოვება. სადღეისოდ ახმეტის გუნდი საქართველოში ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა და ეს სწორედ ამ სკოლის დამსახურებაა. ბოლო წლებში თუშები საქართველოს ჩემპიონატებზე მუდამ წარმატებით გამოდიან, ერთხელ კი ერთ-ერთმა იქაურმა მსოფლიო ჩემპიონატზეც იასპარეზა. ცხადია, მათში ბევრი ნიჭიერიც ყოფილა, მაგრამ ლაშა ღულელაური ყველაზე უფრო გამორჩეულია.

ლაშა ამჟამად მეცხრე კლასში სწავლობს და წარმატებით ვარჯიშთან ერთად ასევე წარმატებით სწავლასაც ახერხებს. ცხადია, ეს არაა იოლი, მაგრამ ამას შინაგანი დისციპლინის ხარჯზე ახერხებს. სკოლა, მერე – სადილი, გაკვეთილები და საღამოს კვლავაც ვარჯიში – ეს მისი ყოველდღიურობაა, რომელიც ძალიან ბევრ რამეს ართმევს – თანატოლებს, თავისუფალ დროს, გართობას, მაგრამ ამაზე დიდად არ ნაღვლობს. სპორტში წარმატებები მისი მთავარი ოცნებაა და ამ მიზანს ყველაფერს სწირავს. ვარჯიშებზე იმდენად მონდომებულია, მამას ზოგჯერ დაოკებაც კი უწევს, გადაღლის საფრთხე რომ აირიდოს. საერთოდაც, მისი მონდომება და საქმისადმი დამოკიდებულება მართლაც შესაშურია – არასოდეს აკმაყოფილებს მიღწეული, მუდამ მეტი უნდა და ამისთვის თავდაუზოგავად მუშაობს საკუთარ თავზე, განიცდის ჩავარდნას და მუდამ პროგრესზე ფიქრობს. პირადად შევსწრებივარ შეჯიბრებებზე, როგორ განიცდიდა, ახალი ნახტომი წინაზე ცუდი თუ გამოუვიდოდა. მიდგომა სწავლისადმიც ასეთია – იქაც მომთხოვნია თავისი თავისადმი და განიცდის, ტურნირების გამო გაკვეთილების გაცდენა რომ უწევს.

ლაშა, ძირითადად, ორ დისციპლინაში – სიგრძეზე და სამმაგ ხტომებში გამოდის, თუმცა მწვრთნელი მიიჩნევს, რომ სპრინტერულ დისტანციებზეც შეძლებს წარმატებით სირბილს. მაგრამ ჯერ არ ფიქრობს ამდენად დატვირთვას, რადგან სამუშაო აქაც ძალზე ბევრი აქვს. თან, ასაკიც გასათვალისწინებელია და არაა სასურველი, ამდენად დატვირთოს. ლაშას საქართველოში თავის ტოლებში ხომ ბადალი არა ჰყავს და უფროსებშიც მუდამ პრიზიორებშია. თუმცა თვითონ ამასაც განიცდის და აქაც პირველობას ესწრაფვის, რაც მისი ხასიათის კარგი თვისებაა. იგი 5-6 წლით უფროსებთან პაექრობს და ამით თავის დამშვიდებაც შეუძლია, მაგრამ ბუნებით მებრძოლია და ეს არ აკმაყოფილებს. მან ახლახან საქართველოს ზამთრის პირველობაზეც იასპარეზა უფროსებში – ისევ რამდენიმე წლით დიდებთან და სამმაგ ხტომებში ვერცხლის მედალი მოიპოვა, სიგრძეზე ხტომებში კი მესამე იყო. თან, ფეხის ტრავმის გამო ამჯერად თავისი საუკეთესო შედეგები ვერ აჩვენა. ამასთან, ზამთრის ჩემპიონატები ცოტა სპეციფიკურია. წლეულს ღულელაურს საერთაშორისო ტურნირები ელოდება – ზაფხულში იტალიაში ახალგაზრდების მსოფლიო ჩემპიონატი ტარდება, სადაც, სავარაუდოდ, იასპარეზებს. საამისოდ მან სალიცენზიო ნორმატივები უნდა შეასრულოს, მაგრამ არავის ეეჭვება – ეს დროის საქმეა.



ირაკლი თავაძე

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი
მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.
რედაქციის რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ბ/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.